



კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

თინათინ ნოზაძე

**„სამხრეთ კავკასიის ქვეყნები, როგორც ბუფერული
სახელმწიფოები და მათი საგარეო პოლიტიკის
თავისებურებები“**

საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო

უსაფრთხოების სამაგისტრო-საგანმანათლებლო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი,

კსუ-ს ასოცირებული პროფესორი, თამარ კვიციანიძე

თბილისი - 2018

ანოტაცია

ბუფერული სახელმწიფოს ფენომენი საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში ნაკლებად არის შესწავლილი. თვალსაჩინოებისთვის, მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ ბუფერის სტატუსი სამხრეთ კავკასიის ქვეყნებზე მოგვერგო და გაგვეანალიზებინა.

სამხრეთ კავკასია მსოფლიო სივრცის ის უმნიშვნელოვანესი რეგიონია, რომელმაც 1992 წლიდან დაიწყო დამოუკიდებლობის შენება. მისი გეოსტრატეგიული თუ გეოპოლიტიკური მდებარეობა მთელი მსოფლიოსათვის თვალშისაცემი გახდა, იქ არსებული ბუნებრივი რესურსი კი ქვეყნებს საშუალებას აძლევს განიმტკიცონ ადგილი საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში. ევროპისა და აზიის დამაკავშირებელ გზაჯვარედინზე მდებარე რეგიონი ყველზე მეტად მიმზიდველი მისი ამ მდებარეობის გამო გახდა.

სამაგისტრო კვლევაში განვიხილეთ აღნიშნული სამი ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსის მახასიათებლები, მათი დამოუკიდებულება სახელმწიფოებსა, თუ ალიანსებთან და ამ პრიზმიდან შევაფასეთ აღნიშნული ქვეყნების საგარეო პოლიტიკის ვექტორი. ნაშრომის თავებში გამოყენებული მონაცემები საშუალებას გვაძლევს დეტალურად გავიაზროთ თითოეულის პოლიტიკური ორიენტაცია.

ვფიქრობთ, კვლევა მეტად საინტერესოა. აკადემიურ ნაშრომში ახლებურად არის გააზრებული ბუფერული სახელმწიფოების ფენომენი და მათი საგარეო პოლიტიკის თავისებურებები.

Tinatino Nozadze

Annotation

South Caucasus countries as buffer states and their political peculiarities

The phenomenon of buffer states is less studied in the theories of international relationships. We considered it important to analyze the status of buffer state for South Caucasian countries.

South Caucasian countries are the countries that started building independent from 1992. The geopolitical and geostrategic location of the countries was obvious for the whole world, and the natural resources existing in the countries make these countries important in the world trade union. As the region is located on the boundary of Europe and Asia importance and attraction to the region increases greatly.

In the graduate research we discuss the characteristics of international relationships of these three countries. Their attitude to the countries, alliances and from these points we evaluated the political vector of these three countries. The titles of the research give us possibility to consider and analyze the political orientation of each country. We consider the research to be very interesting. In the academic work the newest approaches buffer countries are discussed as well as the characteristics of their international relationships.

შინაარსი

შესავალი.....	5
1 თავი. ბუფერული სახელმწიფო და მათი თავისებურებები	
1.1. ბუფერული სახელმწიფო და მისი არსი.....	9
1.2. ბუფერული სახელმწიფოს ტიპები.....	21
2 თავი. სამხრეთ კავკასიური ქვეყნები, როგორც ბუფერული სახელმწიფოები და მათი განვითარების თავისებურებანი	
2.1. სამხრეთ კავკასიის ქვეყნების საგარეო პოლიტიკის თავისებურებები.....	30
2.2. აზერბაიჯანი, როგორც ტრიმერი და მისი პოლიტიკა.....	34
2.3. სომხეთი, როგორც რუსეთის სატელიტი და ევრაზიული ეკონომიკური კავშირის წევრი.....	40
2.4. სომხეთი და ევროკავშირი.....	45
3 თავი. საქართველოს დასავლურ-პოლიტიკური ვექტორი	
3.1. საქართველოს, როგორც აშშ-ს სტრატეგიული პარტნიორი და სატელიტი.....	52
3.2. საქართველოს და ნატოს ურთიერთობა.....	58

3.3	საქართველო	და
ევროკავშირი.....		62
დასკვნა.....		67
გამოყენებული ლიტერატურა.....		69

შესავალი

თემის აქტუალობა - სამაგისტრო ნაშრომი „სამხრეთ კავკასიის ქვეყნები, როგორც ბუფერული სახელმწიფოები და მათი საგარეო პოლიტიკის თავისებურებები“, წარმოადგენს პირველ სამეცნიერო ნაშრომს საქართველოში. საერთაშორისო ურთიერთობებში ბუფერული სახელმწიფოებისადმი მიძღვნილი სულ რამდენიმე ნაშრომი თუ სტატია მოიძებნება, სადაც აღნიშნული სტატუსი პატარა/სუსტი ქვეყნების პრიზმიდანაა დანახული. არსებული კვლევები არ იძლევა საჭირო რაოდენობის მასალას, გააზრებულ იქნეს მათი როლი საერთაშორისო არენაზე.

ჩვენს მიერ შექმნილი ნაშრომი ბუფერის ცნების გააზრებას სამხრეთ კავკასიის ქვეყნებზე მოახდენს, რეგიონზე, რომელიც 1992 წელს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, თითქმის მთელი მსოფლიოს ინტერესთა არენად იქცა. ახლად წარმოქმნილი სახელმწიფოებისათვის მეტად რთული იყო მსოფლიოს პოლიტიკურ ველზე ჭიდილი, რამაც მათი ძლიერ ქვეყნებთან, თუ საერთაშორისო ორგანიზაციებთან მიდრეკილება გამოიწვია. ასეთ ვითარებაში საჭირო გახდა იმგავრი პოლიტიკის შემუშავება, რაც დაეხმარებოდათ ქვეყანაში წარმოშობილი კრიზისის დაძლევაში, ეს კი ტერიტორიულმა კონფლიქტებმა და ეკონომიკურმა დაღმასვლამ განაპირობა. სომხეთი და საქართველო იმ დიდი სახელმწიფოების ბუფერებს წარმოადგენენ, რომელნიც განსაზღვრავენ მსოფლიო პოლიტიკის დღის

წესრიგს. სომხეთი, როგორც რუსეთის, ხოლო საქართველო, როგორც აშშ - ის სატელიტი, დამოკიდებულნი ხდებიან და არიან მათი ინტერესების გამტარებლები. სამხრეთ კავკასიის მესამე წარმომადგენელმა, აზერბაიჯანმა საგარეო პოლიტიკური კურსი საერთაშორისო ორგანიზაციებისგან სრულიად გამიჯნა და შეძლო ეწინააღმდეგებინა დამოუკიდებელი, დაბალანსებული პოლიტიკა, რაშიც ქვეყანაში არსებული ბუნებრივი მარაგი (ნავთობი) დაეხმარა.

საკვლევ თემის აქტუალობას სწორედ აღნიშნული მოცემულობა განსაზღვრავს, რასაც ემატება ის ფაქტი, რომ ჩვენ წარმოვადგენთ ერთ - ერთ ბუფერულ სახელმწიფოს - საქართველოს. ნაშრომში განხილული მასალა, რომელიც წარმოაჩენს საკვლევ ობიექტების, როგორც ბუფერული სახელმწიფოების მდგომარეობას, მის პოლიტიკას საგარეო ურთიერთობაში, გავლენას იმ ქვეყნების მხრიდან, რომელთა ბუფერსაც ისინი წარმოადგენენ ვფიქრობთ, კვლევას საინტერესოს ხდის და თავისმხრივ, აქტუალურსაც.

თემის ჰიპოთეზა - ჰიპოთეზა შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაცალიოთ: „სამხრეთ კავკასიის რეგიონი დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან ძლიერ სახელმწიფოთა გავლენის სფეროში მოექცა, რამაც განაპირობა ამ ქვეყნების განსხვავებული პოლიტიკური ვექტორების არჩევანი. საქართველო, როგორც აშშ-ის სატელიტი და სტრატეგიული პარტნიორი ახერხებს მისი მხარდაჭერის მოპოვებას. ამასთანავე, სომხეთი, როგორც რუსეთის სატელიტი, ცდილობს მთიანი ყარაბაღის კონფლიქტში მისი თანადგომის მიღებას. განსხვავებული კურსი აქვს აღებული აზერბაიჯანს, ის, როგორც ტრიმერი, წარმატებით აწარმოებს დაბალანსებულ პოლიტიკას საგარეო ურთიერთობებში“.

საკვლევ კითხვები:

- რამდენად წარმატებულია საქართველოს, როგორც აშშ-ის სატელიტის საგარეო პოლიტიკური კურსი?
- რით არის განპირობებული სომხეთის საგარეო პოლიტიკური არჩევანი - იყოს რუსეთის სატელიტი ქვეყანა და რა სახის დივიდენდები აქვს ქვეყანას ამ არჩევანის გამო?
- რა ფაქტორების გათვალისწინებით აირჩია აზერბაიჯანმა ტრიმერის პოლიტიკა და რა მექანიზმებით ახორციელებს ამ პოლიტიკას?

ნაშრომის მიზანი - სამაგისტრო ნაშრომის მიზნად ვისახავთ გავაანალიზოთ, შევაფასოთ და გიჩვენოთ საქართველოს, როგორც დასავლეთის მტკიცე სატელიტის საგარეო პოლიტიკის არსებითი მხარეები და აქვე წარმოვაჩინოთ ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერა ჩვენი ქვეყნის მიმართ. საინტერესოა მისი საგარეო პოლიტიკის შედარება სამხრეთ კავკასიის დანარჩენ ორ ქვეყანასთან - აზერბაიჯანსა და სომხეთთან, რომლებიც აგრეთვე ბუფერული სახელმწიფოების სტატუსს ატარებენ. აზერბაიჯანის, როგორც ტრიმერის და ამგვარად, დაბალანსებული პოლიტიკის გამტარებლის, ხოლო სომხეთის, როგორც რუსეთის სატელიტისა და ევრაზიული კავშირის წევრის წარმოჩენა დაგვანახებს, რამდენად ეფექტურია ქვეყნებისთვის ბუფერის სტატუსის მორგება. მიზნად მივიჩნევთ თითოეული სახელმწიფოს, როგორც ბუფერების მახასიათებლების წარმოჩენას, თანამედროვე ვითარებაში მათი კავშირების გამოკვეთასა და ანალიზს.

კვლევის მეთოდოლოგია - კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლები უშუალოდ გამომდინარეობს საკვლევი ობიექტის არსიდან და თავისებურებებიდან. კვლევა ეყრდნობა საერთაშორისო პოლიტიკურ მეცნიერებაში არსებულ რეალიზმის სკოლის თეორიას, რომელსაც წარმოადგენს კენეთ უოლცი ჯონ მერშიმერი.

კვლევის მეთოდები - გამოვიყენეთ საერთაშორისო ურთიერთობებში აპრობირებულ ძირითად მეთოდებს: ისტორიული, შედარებითი, შემეცნებითი, ლოგიკური, ფუნქციონალური, სიტუაციური ანალიზი, კონტენტ-ანალიზი, დოკუმენტების შესწავლა და მათი შედარება.

თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა - კვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნას აღნიშნული პრობლემატიკის მსგავსი სამეცნიერო კვლევების განხორციელებისას და განზოგადებულ იქნეს პრაქტიკაში, სახელმწიფო და საგარეო უწყებების, დიპლომატების, მათ შორის საქართველოში აკრედიტებული უცხო სახელმწიფოების საელჩოების, ფონდების და საზოგადოებრივი კვლევის ცენტრების მიერ, ასევე შესაძლოა გამოყენებულ იქნეს სალექციო კურსებში.

ლიტერატურის მიმოხილვა: სამეცნიერო კვლევაში გამოვიყენეთ შემდეგი ძირითადი ლიტერატურა. ელდარ ისმაილოვისა და ვლადიმერ ჰაპავას წიგნი - „ცენტრალური კავკასია: გეოპოლიტიკური ეკონომიის ნარკვევები“, სადაც დეტალურად იყო განხილული სამხრეთ კავკასიის ქვეყნების საგარეო პოლიტიკა და მისი ძირითადი მახასიათებლები. წიგნში წარმოჩენილი მასალა დაგვეხმარა ამ ქვეყნების საგარეო კურსის ანალიზის გაკეთებაში. კვლევაში ასევე გამოვიყენეთ, საერთაშორისო ურთიერთობების თეორიისა და პატარა ქვეყნების პრობლემატიკისადმი მიძღვნილი, პირველი ქართულენოვანი ნაშრომების ავტორის ალექსანდრე რონდელის წიგნი „პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში“, ამას გარდა, სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხის ნათელყოფისათვის საჭირო გახდა გამოგვეყენებინა ბესიკ ალადაშვილის წიგნი „სამხრეთ კავკასია გეოპოლიტიკურ გზაჯვარედინზე: ეკონომიკური ინტეგრაცია თუ ომი“, რამაც მოგვცა საშუალება, წარმოგვეჩინა რეგიონის ქვეყნების ეკონომიკური ასპექტები და ამ მხრივ შეგვეფასებინა მათი ჩართულობა საერთაშორისო სივრცეში. ნაშრომის წერისას დავეყრდენით წიგნს „გეოპოლიტიკა და უსაფრთხოება: ახალი სტრატეგია სამხრეთ კავკასიისათვის“, რომელიც წარმოდგენილია კორნელი

კაკაჩიას, შტეფან მაისტერისა და ბენუამენ ფრიკეს ავტორობით, რომელთა მოსაზრებებიც დაგვეხმარა გავგეაზრებინა სამხრეთ კავკასიის რეგიონის კონფლიქტების გავლენა მათ პოლიტიკაზე. ნაშრომის წერისას ასევე დავეყრდენით სხვადასხვა ექსპერტთა ანალიზს, სტატიებსა და მოსაზრებებს სამხრეთ კავკასიის ქვეყნების პრობლემატიკასთან დაკავშირებით.

თავი 1. ბუფერული სახელმწიფო და მათი თავისებურებები

1.1. ბუფერული სახელმწიფო და მისი არსი

საერთაშორისო ურთიერთობებში არსებულ სამეცნიერო ლიტერატურას თუ გადავხედავთ ვნახავთ, რომ ბუფერული სახელმწიფოს როლი და მნიშვნელობა ჯერ კიდევ ნაკლებადაა შესწავლილი, რამაც ბიძგი მოგვცა დეტალურად გამოგვეკვლია ასეთ სახელმწიფოთა ადგილი მსოფლიო ასპარეზზე.

ბუფერული სახელმწიფო მეტად საყურადღებო მოვლენაა საერთაშორისო ურთიერთობებში, რაც დიდწილად განსაზღვრავს ამ და სხვა სტატუსის მქონე სახელმწიფოთა პოლიტიკის ხასიათს, თუმცა მათი როლი და მნიშვნელობა სათანადოთ ჯერაც არაა გამოკვლეული. ბუფერული სახელმწიფოების არსის შესწავლა კონკრეტული სახელმწიფოების და მათი ბუფერული ფუნქციების განხილვისას ხდებოდა. სამეცნიერო ლიტერატურაში ვხვდებით რამდენიმე სტატიასა და ნაშრომს ბუფერული სახელმწიფოსადმი მიძღვნილს, თუმცა ძირითადად პატარა სახელმწიფოს ჩარჩოებში განხილულს, რაც არ გვაძლევს ნათელ სურათს, თუ

როგორი სახელმწიფო შეიძლება იყოს ბუფერი ან მხოლოდ პატარა ქვეყნები ითვლებიან თუ არა ასეთებად. მეცნიერ-პოლიტოლოგები აღნიშნული სტატუსის მქონე სახელმწიფოთა როლს უფრო ხშირად გეოპოლიტიკური კუთხით განიხილავენ.

ტერმინი „ბუფერი“ (Buffer)¹ პოლიტიკური ერთეულის მიმართ გამოყენებულ იქნა 1876 წელს, ხოლო ტერმინი ” ბუფერული სახელმწიფო” (Buffer State) 1883 წელს. ორივე შემთხვევაში ინგლისელებმა ამგვარად ავლანეთი მოიხსენიეს, რომელიც იმუამად ექსპანსიის პროცესში მყოფი რუსეთისა და ბრიტანეთის იმპერიების ინტერესთა სფეროების გამმიჯვნელ ტერიტორიას წარმოადგენდა ცენტრალურ აზიაში. ზოგადი განსაზღვრებით თუ ვიმსჯელებთ ტერმინი გულისხმობს:

- იმას, რაც ამცირებს და შთანთქმავს დარტყმის ძალას;
- მეტოქე ძალებს შორის მოქცეული ტერიტორია, რომელიც კონფლიქტისაფრთხის შემცირებას ემსახურება;
- ნებისმიერი რამ, რაც დამცავ ბარიერად გამოიყენება;
- რაიმე მოხვედრილი ორ ძლიერ ძალას შორის, რომელიც მათ შეტაკებას უშლის ხელს.

გემოჩამოთვლილი განმარტებების პოლიტიკური ერთეულისთვის მისადაგებით ნათელი გახდება, თუ რამდენად რთულ რეალობას უქმნის აღნიშნული სტატუსის მორგება პატარა ქვეყნებს, ვინაიდან ეს უკანასკნელი ხდება გამწვანებელი ძალა ორ სახელმწიფოს შორის წარმოშობილი კონფლიქტისას, რა დროსაც შესაძლოა ბუფერულ სახელმწიფოს სერიოზული ზიანი მიადგეს.

¹“Buffer2 ,” The American Heritage Dictionary of the English Language (Houghton Mifflin Company, Fourth Edition, 2000), <http://www.bartleby.com/61/31/B0533100.html> (accessed 10.06.2009), გვ.67

ამ მოცემულობებიდან გამომდინარე, მეტად საინტერესოა ბუფერის სტატუსის მორგება სახელმწიფოსათვის და მისი ნახსენებ კონტექსტში განსაზღვრა. თუმცა, მანამდე მნიშვნელოვანია ცნების ნათლად გააზრება, რაც ინგლისური ენის ლექსიკონში შემდეგნაირადაა განმარტებული:

- პატარა სახელმწიფო ორ შესაძლო მეტოქე ძალას შორის, რომელიც მათ შორის ომის დაწყების ალბათობას ამცირებს;
- ნეიტრალური სახელმწიფო, რომელიც მათ შორის კონფლიქტის თავიდან აცილებას ემსახურება;
- სახელმწიფო, რომელიც უფრო დიდ, პოტენციურად მტრულ სახელმწიფოებს შორის მდებარეობს.²

როგორც ვხედავთ, აღნიშნული სტატუსი პატარა სახელმწიფოს ჭრილში განიხილება, ამდენად, საინტერესო იქნება ამ უკანასკნელის არსის წარმოჩენა, იმისათვის, რომ დავინახოთ მხოლოდ პატარა/სუსტ ქვეყნებს მიესადაგება თუ არა ბუფერის სტატუსი.

პატარა ქვეყნების ცნობილი ამერიკელი ექსპერტის ანეტ ბეიკერ ფოქსის თანახმად, ბუფერული სახელმწიფოების რიგს შეიძლება მივაკუთვნოთ ისინი, რომელთა ხელისუფლებაც საკუთარი ქვეყნის პოლიტიკური წონის შეზღუდულ, მხოლოდ ადგილობრივ და არა გლობალურ ასპარეზზე მოქმედებს.

ალექსანდრე რონდელის შეფასებით, პატარა ქვეყნების პრობლემატიკით დაინტერესებული ყველა მეცნიერი, ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ: პატარა ქვეყანა სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით სუსტი ქვეყანაა, რომელსაც

²“Buffer2 ,” Merriam-Webster Online Dictionary (Merriam-Webster, Inc., 2005), <http://www.mw.com/dictionary/buffer> (accessed 10.06.2009), გვ.156

თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში დამოუკიდებლად არ შეუძლია საკუთარი ინტერესების გატარება.³

ამერიკელი მკვლევარის ჰერბერტ გოლდჰამერის მოსაზრებით: „ტერმინი პატარა ქვეყანა მიესადაგება ქვეყნებს დიდი ფართობითა და მცირე მოსახლეობით, ქვეყნებს მცირე ფართობითა და დიდი მოსახლეობით, ქვეყნებს მცირე ფართობითა და მცირე მოსახლეობით, ზოგიერთ შემთხვევაში ნებისმიერი სიდიდის ქვეყანას, რომელიც უბრალოდ მსოფლიო საქმეებში ნაკლებად ერევა. პატარა სახელმწიფო არის ისეთი სახელმწიფო, რომელსაც არც მსოფლიო და არც რეგიონალური მასშტაბით არ შეუძლია საკუთარი პოლიტიკური ნების ცხოვრებაში გატარება და საკუთარი ეროვნული ინტერესების დაცვა“.⁴ ისინი მცირე გავლენას ახდენენ რეგიონული უსაფრთხოების სტრუქტურაზე, რადგან მათი ეროვნული უსაფრთხოება დიდ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობის ხასიათზეა დამოკიდებული. შეიძლება პატარა ქვეყანა საფრთხედ გადაიქცეს ამა თუ იმ დიდი სახელმწიფოსათვის, თუ მისთვის არასასურველ პოზიციას დაიკავებს დიდ ძალთა მეტოქეობაში. ამიტომაც, ისინი რეგიონული უსაფრთხოების კომპლექსებში შეიძლება ბუფერის როლს ასრულებდნენ.

სუსტი სახელმწიფოების დაბალი თავდაცვისუნარიანობა მათ ბუფერებად ჩამოყალიბებასა და ფუნქციონირებას მნიშვნელოვნად აბრკოლებს, რადგან ძლიერ მეტოქე სახელმწიფოებს მათ შორის ძალის ვაკუუმის არსებობა ყოველთვის აშინებს. სუსტმა სახელმწიფომ ბუფერის ფუნქცია, რომ წარმატებით შეასრულოს

³რონდელი. ა., „საერთაშორისო ურთიერთობები“- თბილისი: „ნეკერი“, მესამე გამოცემა, 2006 (1996), გვ.56

⁴Herbert Goldhamer, The Foreign Powers in Latin America (Princeton: Princeton University Press, 1972), 236 n.

კარგად განვრთნილი და ძლიერი შეიარაღებული ძალები უნდა ჰყავდეს. ამან შეიძლება დაარწმუნოს ეჭვიანი მეზობელი იმაში, რომ ბუფერულ სახელმწიფოს საკუთარი ნეიტრალიტეტისა და ბუფერული სტატუსის დაცვა მაინც შეუძლია მცირე საფრთხეებისაგან. თუმცა, საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ბუფერულ სახელმწიფოს დიდი რაოდენობით თანამედროვე შეიარაღების წარმოების ან შექმნისა და მრავალრიცხოვანი არმიების შენახვის უნარი არ გააჩნია.⁵

ამგვარად, ბუფერული სახელმწიფოს ფუნქცია საკმაოდ რთული და საპასუხისმგებლოა. აღნიშნული ტერმინის ახსნის პირველი მცდელობა საერთაშორისო ურთიერთობების ლიტერატურაში 1930 - იან წლებში გაჩნდა, როდესაც ამერიკელი მეცნიერი პიტმან პოტერი მის მიერ გამოცემულ სოციალური მეცნიერების ენციკლოპედიაში წერდა: ტერმინი „ბუფერული სახელმწიფო“ ხშირად იხმარება სუსტი, ზომით პატარა, დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის არმქონე სახელმწიფოს დასახასიათებლად, რომელიც ორ ან მეტ ძლიერ სახელმწიფოს შორის მდებარეობს და ამგვარად, საერთაშორისო აგრესიას აბრკოლებს“⁶. 1940 - იან წლებში ბუფერული სახელმწიფოს ფენომენმა ნიკოლას სპაიკმენის ყურადღებაც მიიპყრო, რომლის განმარტებითაც, ბუფერები არიან: „ მცირე, პოლიტიკური ერთეულები, განლაგებულნი უფრო დიდ სახელმწიფოებს შორის“.⁷

როგორც აღვნიშნეთ ნაშრომის წერისას ძირითადად ვეყრდნობით რეალიზმის სკოლის წარმომადგენელთა თეორიებს, ამდენად, მნიშვნელოვანია მათი

⁵რონდელი. ა., „პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში“ თბილისი: საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, „ნეკერი“, მეორე გამოცემა, 2009 (2003), გვ.119

⁷Nicholas Spykman, “Frontiers, Security and International Organization,” *Geographical Review*, Vol. 32, No. 3 (1942), გვ.440.

მოსაზრებების გააზრება აღნიშნულ ცნებასთან დაკავშირებით. რეალიზმის სკოლის წარმომადგენელი ჰანს მორგენტაუ 1948 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „პოლიტიკა ერებს შორის“ აღნიშნავს, რომ: „ბუფერული სახელმწიფოები არიან სუსტი სახელმწიფოები, რომლებიც ძლიერ სახელმწიფოებთან ახლოს მდებარეობენ და მათ სამხედრო უსაფრთხოებას ზრდიან“.⁸

საინტერესოა გადავხედოთ 1950 - იან წლებში მარტინ უაითის მიერ ბუფერული სახელმწიფოსათვის მიძღვნილ შრომას. მის სტატიაში „ძალის მოდელი“ ვკითხულობთ: „ ბუფერული სახელმწიფო არის სუსტი ძალა (სახელმწიფო) მოქცეული ორ ან მეტ უფრო ძლიერ ძალას (სახელმწიფოს) შორის,რომელიც შენარჩუნებულია, ან სულაც შექმნილია მათ შორის კონფლიქტის შესამცირებლად. ბუფერული ზონა კი ორ ან მეტ ძლიერ ძალას (სახელმწიფოს) შორის მდებარე რეგიონია, რომელიც ერთ ან მეტ უფრო სუსტ ძალას (სახელმწიფოს) უკავია. მას ზოგჯერ „ძალის ვაკუუმსაც“ უწოდებენ“.⁹საერთაშორისო სივრცეში არსებული მასალების გადახედვის შედეგად და ნაშრომში მოხმობილი მონაცემების საფუძველზე, უკვე შეგვიძლია აღვინიშნოთ, რომ მე-20-ე საუკუნის მეორე ნახევრიდან ბუფერული სახელმწიფოს შესწავლაპატარა/სუსტი ქვეყნების საერთო კვლევის კუთხით მიმდინარეობს. უკანასკნელ ათწლეულებში ბუფერული სახელმწიფოს ცნების რამდენიმე უფრო ვრცელი განმარტება შემუშავდა. მათგან ტრიგვე მატისენი აღნიშნავს, რომ ტერმინი „ბუფერი“ დამცავ ან შემაკავებელ მექანიზმს გულისხმობს, რომელიც დარტყმის ძალას ასუსტებს ან შეჯახებისას დარტყმის ძირითად ძალას თავის თავზე იღებს. აქედან გამომდინარე, მისი თქმით: „ბუფერული სახელმწიფო

⁸Hans Morgenthau, *Politics Among Nations: The Struggle for Power and Peace*, revised by Kenneth Thompson (New York: McGraw-Hill, Sixth Edition, 1985), გვ. 196.

⁹Martin Wight, *Power Politics*, ed. Hedley Bull and Carsten Holbraad (London: Leicester University Press, Royal Institute of International Affairs, 1995), გვ. 160.

გამინარტება, როგორც პატარა, დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომელიც ორ უფრო დიდ, ძირითადად მეტოქე სახელმწიფოებს შორის მდებარეობს. ის ბუნებრივად შეიძლება წარმოვიდგინოთ პოლიტიკურ დამცავ საშუალებად, რომელიც ძლიერი მეზობლების ურთიერთშეტაკების საფრთხეს ამცირებს“.¹⁰

ამერიკელი მეცნიერი ლოურენს ზირინგი მიიჩნევს, რომ „ბუფერული სახელმწიფოები მეორეხარისხოვანი მონაწილეები არიან, მოხვედრილნი უფრო მეტი ძალაუფლებით დაჯილდოებულ, პატივმოყვარე და ხშირ შემთხვევაში ერთმანეთისადმი აგრესიულად განწყობილ ერთობებს შორის“.¹¹

ჩვენს მიერ ზემომოყვანილ მეცნიერთა მოსაზრებები თითქმის ერთმანეთის მსგავსია, რაც დასტურდება მათ მიერ შემოთავაზებულ განმარტებებში ბუფერული სახელმწიფოს შესახებ. თითოეული ცალ-ცალკე მიიჩნევს, რომ აღნიშნული სტატუსის მქონე სახელმწიფო არის ძალა, რომელიც მოქცეულია ორ ან მეტ ძლიერ ძალას შორის და რომელსაც შეუძლია შეაკავოს აღნიშნულ სახელმწიფოებს შორის წარმოშობილი კონფლიქტი. ეს განსაზღვრება არ არის საკმარისი იმისათვის, რომ გაანალიზდეს ბუფერულ სახელმწიფოთა არსი. საკითხი მოითხოვს ამ სტატუსის მქონე ქვეყანებისათვის დამახასიათებელ თავისებურებათა გამოყოფას, რასაც სხვადასხვა მეცნიერი სხვადასხვაგვარად ახასიათებს.

მაიკლ ჰარტემი ბუფერული სახელმწიფოს ცნებაში სამ ძირითად ელემენტს გამოყოფს:

¹⁰Trygve Mathisen, *The Functions of Small States in the Strategies of the Great Powers* (Oslo: Universitetsforlaget, 1971), გვ. 107.

¹¹Lawrence Ziring, “Asia’s Pivotal Buffer States,” in *Buffer States in World Politics*, ed. John Chay and Thomas Ross (Boulder: Westview Press, 1986), გვ.153.

1. გეოგრაფიული მდებარეობა: ბუფერული სახელმწიფო ორ დიდ სახელმწიფოს შორის მდებარეობს;
2. შესაძლებლობათა განაწილება: ბუფერი პატარა (სუსტი) სახელმწიფოა ორ დიდ (ძლიერ) მეზობელს შორის;
3. საგარეო ორიენტაცია: ბუფერი „დამოუკიდებელია“ და მისი ძლიერი მეზობლები, როგორც წესი, მეტოქე სახელმწიფოები არიან.¹²

აღნიშნული ტერმინის განსაზღვრისას სტეფან დე სპიგელეირიც სამ ელემენტზე ჩერდება:

1. გეოგრაფიული ელემენტი: ბუფერი დაბუფერებულ მონაწილეებს შორის უნდა მდებარეობდეს;
2. ძალის იერარქიის ელემენტი: ბუფერის ძალა მნიშვნელოვნად უნდა ჩამოუვარდებოდეს ორივე დაბუფერებული მონაწილისას;
3. პოლიტიკური ელემენტი: ბუფერული სახელმწიფო საერთაშორისო სისტემის ჭეშმარიტად დამოუკიდებელი სუვერენული მონაწილე უნდა იყოს.¹³

სტეფან დე სპიგელეირი მიიჩნევს, რომ პოლიტიკური ელემენტი ბუფერული სისტემის ფუნქციონირების აუცილებელი პირობაა, რაც გულისხმობს ბუფერული სახელმწიფოს ჭეშმარიტად დამოუკიდებელობას, თუმცა წინა ორი პუნქტიდან გამომდინარე ბუფერული სახელმწიფო ცალსახად, დამოკიდებულია რომელიმე უფრო ძლიერ სახელმწიფოზე და მის გაფართოებული თავდაცვის პერიმეტრში იმყოფება ან უფრო ძლიერ სახელმწიფოს შორის არის დანაწილებული. ამდენად,

¹²Michael Partem, “The Buffer System in International Relations,” *Journal of Conflict Resolution*, Vol. 33.27.

¹³Stephan De Spiegeleire, “Of Buffers and Bridges. Some Geodetic Thoughts on European Stability in the PostCold War Era,” 13 January 1994. გვ.123

უკანასკნელი პუნქტი წინამდებარე პუნქტების გაგრძელება ვერ იქნება, რათა მის წინააღმდეგობაში მოდის.

სპიგელეირის აზრს იზიარებს ალექსანდრე რონდელიც, როცა ამბობს, რომ: „ბუფერული სახელმწიფო საბოლოო ჯამში, ორი ან მეტი ძლიერი სახელმწიფოს სურვილით მათ შორის შექმნილ სტაბილურ ნეიტრალურ ზონას წარმოადგენს, რომლის უპირველესი ფუნქცია დაპირისპირებათა გამიჯვნა და კონფლიქტის შესაძლებლობების მინიმუმამდე დაყვანაა“.¹⁴

ამდენად, ზემომოყვანილი მოსაზრებების მიხედვით, ბუფერული სახელმწიფო უპირობოდ წარმოადგენს ორ ან მეტ ძლიერ სახელმწიფოს შორის არსებულ ძალას (სახელმწიფოს), რომელსაც დაბუფერებულ სახელმწიფოთა მიერ მინიჭებული აქვს ფუნქცია ამ უკანასკნელთა შორის კონფლიქტის გამწვანებისა, თუმცა მხოლოდ ამ ჩამოყალიბებული დეფინიციით ვერ შემოვიფარგლებით. თუკი სიღრმისეულად გადავხედავთ ჩვენს მიერ მოხმობილ მოსაზრებებს, ვნახავთ, რომ მეცნიერები ბუფერული სახელმწიფოს ცნებას სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით განსაზღვრავენ. ამგვარად, ცნება ბუფერული სახელმწიფო საკმაოდ ბუნდოვანია და იგი დღემდე გამოუკვლეველია.

საერთაშორისო ურთიერთობების ამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სუბიექტების როლის შესწავლისას აუცილებელი პირობაა მათი ძალისა და სისუსტის გაანალიზება.

განხილული მონაცემების საფუძველზე ვნახეთ, რომ ბუფერული სახელმწიფო დაბუფერებულ მხარეებთან შედარებით ნაკლებ ძალას ფლობს. ხოლო ბუფერის

¹⁴ ალექსანდრე რონდელი, პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში, „ნეკერი“, მეორე გამოცემა (2009) გვ.34

ძალის განსაზღვრა გარკვეულწილად წარმოაჩენს მის არსსა და მნიშვნელობას საერთაშორისო ურთიერთობათა სივრცეში. აღნიშნული სტატუსის მქონე ქვეყნები საერთაშორისო სივრცეში უმეტესწილად, წარმოჩენილნი არიან, როგორც პატარა/სუსტი ქვეყნები, რაც ცალკე განსხილველი საკითხია, მათი ძალის განსაზღვრასთან დაკავშირებით მეცნიერებაში ჩნდება სხვადასხვაგვარი შეხედულება.

ისევ მაიკლ პარტემის მოსაზრებას მოვიშველიებთ, რომლის აზრითაც, ბუფერის დასადგენად აუცილებელი არაა პატარა/სუსტი სახელმწიფოს განსაზღვრების ძიება. იგი მიიჩნევს, რომ „ბუფერი უფრო პატარაა, ვიდრე მისი სულ მცირე, ორი მეზობელი“.

ბუფერული პოლიტიკური ერთეულების გამოსავლენად, სტეფან დე სპიგელეირი სახელმწიფოებს შემდეგი მახასიათებლებით ადარებს:

1. მოსახლეობის რაოდენობა
2. მთლიანი შიდა პროდუქტის ღირებულება
3. თავდაცვის ბიუჯეტის სიდიდე
4. შეიარაღებული ძალების რიცხოვნობა
5. საბრძოლო ტანკებისა და სამხედრო საჰაერო ხომალდების რიცხვი.¹⁵

სპიგელეირის მიერ ბუფერული სახელმწიფოს შესაფასებლად ჩამოთვლილ პუნქტთაგან, ყველა საფუძვლით მნიშვნელოვანია ვინაიდან, თითოეული ერთმანეთს

¹⁵Stephan De Spiegeleire, “Of Buffers and Bridges. Some Geodetic Thoughts on European Stability in the PostCold War Era,” 13 January 1994. გვ.223

¹⁵Herbert Goldhamer, The Foreign Powers in Latin America (Princeton: Princeton University Press, 1972), გვ.237.

ავსებს და ამასთანავე, ხაზს უსვამს სამხედრო ძალის სიძლიერეს, რაც განმსაზღვრელი ფაქტორია ასეთი სახელმწიფოს გამოვლენისათვის. ბუფერული ძალის განზომილების ასპექტში ხაზგასასმელი სწორედ ის არის, რომ ასეთ სახელმწიფოს, ნებისმიერ მის მიერ დაბუფერებულ დიდ სახელმწიფოსთან სამხედრო კონფლიქტის შემთხვევაში, საკუთარი სუვერენიტეტის დამოუკიდებლად დაცვა არ შეუძლია. ამგვარად, საბოლოო მიგნებად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ ბუფერული სახელმწიფოები ძირითადად პატარა სახელმწიფოები არიან, რომლებსაც საერთაშორისო სისტემის ელემენტთა იერარქიაში ყველაზე დაბალი საფეხური უკავიათ, თუმცა მეცნიერთა მცდელობა, რომ განსაზღვრულიყო პატარა სახელმწიფოს ზუსტი დეფინიცია შეუძლებელი აღმოჩნდა. ამავდროულად, ბუფერული სახელმწიფოს არსის უკეთ გასააზრებლად საჭიროდ მივიჩნიეთ პატარა სახელმწიფოს განსაზღვრებებზე გადაგვხედა და მათზე მოგვერგო აღნიშნული სტატუსი.

ამერიკელი მკვლევრის, ჰელბერტ გოლდჰამერის მოსაზრებით „ტერმინი პატარა ქვეყანა მიესადაგება ქვეყნებს დიდი ფართობითა და მცირე მოსახლეობით, ქვეყნებს მცირე ფართობითა და დიდი მოსახლეობით, ქვეყნებს მცირე ფართობითა და მცირე მოსახლეობით და ზოგიერთ შემთხვევაში ნებისმიერი სიდიდის ქვეყნებს, რომელიც უბრალოდ მსოფლიო საქმეებში ნაკლებად ერევიან“.¹⁶

გოლდჰამერის მოსაზრების პოსტულატიდან თუ ვიმსჯელებთ, პატარა ქვეყანა სულაც არ გულისხმობს ან მხოლოდ მცირე ფართობის, ან მხოლოდ მცირე მოსახლეობის მქონეს სახელმწიფოს. მისთვის აღნიშნული მოცემულობები არ არის საკმარისი ქვეყნისათვის პატარა/სუსტი სახელმწიფოს სტატუსის მისანიჭებლად. მისი

¹⁶Herbert Goldhamer, *The Foreign Powers in Latin America* (Princeton: Princeton University Press, 1972), გვ.237.

აზრით, ასეთად ითვლება სახელმწიფო, რომლის საქმიანობაც საერთაშორისო ურთიერთობებში დიდი აქტივობით არ ფასდება.

ჰოლანდიელი მეცნიერის ლ.ჟაკეს სიტყვებით: „პატარა სახელმწიფო არის ისეთი სახელმწიფო, რომელსაც არც მსოფლიო და არც რეგიონის მასშტაბით არ ძალუძს საკუთარი პოლიტიკური ნების ცხოვრებაში გატარება და საკუთარი ეროვნული ინტერესების დაცვა ძალის პოლიტიკის მეშვეობით“.¹⁷ ჟაკეს მოსაზრება გოლდჰამერის მოსაზრებასთან თანხვედრაში მოდის და ამ უკანასკნელის მსგავსად, მასაც მიაჩნია, რომ ასეთი სახელმწიფოები მნიშვნელოვან ადგილს ვერ იკავებენ მსოფლიო პროცესებში და არ ძალუძთ საკუთარი ეროვნული ინტერესების დაცვა.

რობერტ როთსტაინის აზრით, „პატარა ქვეყანა არის ისეთი სახელმწიფო, რომელსაც შეგნებული აქვს რომ მას არ ძალუძს საკუთარი უსაფრთხოების უზრუნვეყოფა მხოლოდ მის ხელთ არსებული შესაძლებლობით და საამისოდ მეტწილად სხვა სახელმწიფოთა დახმარებაზე, ინსტიტუტებზე, პროცესებსა და მოვლენებზე დაყრდნობა ესაჭიროება“. პატარა/სუსტი სახელმწიფოს როლისა და ფუნქციის გააზრებისას, როგორც უკვე ვთქვით მნიშვნელოვანი ასპექტია ძალა და სანამ ძალა საერთაშორისო ურთიერთობებში გადამწყვეტი ფაქტორია, პატარა ქვეყანა უმწეო აქტორად აღიქმება. მითუმეტეს, რომ ძალიან ბევრი პატარა ქვეყანა მყიფე და არამდგრადი სახელმწიფოებრიობით გამოირჩევა, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არიან მაღალგანვითარებული პატარა ქვეყნები (შვეიცარია, დანია, შვედეთი, ფინეთი, ნორვეგია და სხვა), რომლებმაც საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში გამორჩეული ადგილი დაიმკვიდრეს. ხსენებული პატარა ქვეყნები საერთაშორისო ურთიერთობათა დიპლომატიაში მეტად მნიშვნელოვან და კეთილშობილურ ფუნქციას ასრულებენ. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთმა პატარა

¹⁷L. G. M. Jaquet. "The Role of Small States within Alliance Systems," in Small States in International Relations, ed. A. Schou and A. Brutland (Stockholm: Almquist and Wiksell, 1971), გვ.58.

ქვეყანამ მნიშვნელოვანი ადგილი და როლი დაიმკვიდრა საერთაშორისო პოლიტიკასა და ეკონომიკაში, ისინი კვლავაც სერიოზული გამოწვევების წინაშე დგანან, განსაკუთრებით ეს ეხება ახალგაზრდა სახელმწიფოებრიობის მქონე პატარა ქვეყნებს, ამიტომაც ისინი:

- ცდილობენ ნაკლებად აქტიური იყვნენ მსოფლიო პოლიტიკის კონფლიქტურ გარემოში;
- ცდილობენ მეზობლებთან საუკეთესო ურთიერთობები დაამყარონ;
- მაქსიმალურად ცდილობენ აქტიური იყვნენ საერთაშორისო ორგანიზაციებში და მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო ჰუმანიტარულ და მშვიდობისმყოფელ აქციებში და სხვ.

თუკი მოყვანილ მონაცემებს შევაჯამებთ, მივიღებთ იმ რეალობას, რომ პატარა სახელმწიფოსათვის დამახასიათებელ თავისებურებებად ვერ მივიჩნევთ მხოლოდ მის ტერიტორიულ მოცულობას, ან მოსახლეობის ნაკლებობას და რომ ბუფერული სახელმწიფოს სტატუსი არ შეიძლება ჰქონდეთ მხოლოდ ამ კრიტერიუმებით დამახასიათებელ სახელმწიფოს. ასეთად შეიძლება იქცეს ქვეყანა დიდი ფართობითა და მრავალრიცხოვანი მოსახლეობით, რომელიც საერთაშორისო სივრცეში აქტიური მონაწილეობით არ გამოირჩევა. ამგვარად, ბუფერი არის სახელმწიფო ორ მასზე ძლიერ სახელმწიფოს შორის მოქცეული.

ბუფერის როლს არავინ ირჩევს საკუთარი ინიციატივით, სახელმწიფო ბუფერული ხდება გეოგრაფიული და პოლიტიკურ-სტრატეგიული ფაქტორებისა და ძლიერი სახელმწიფოების პოლიტიკური ნების შედეგად. ბუფერული სახელმწიფო საბოლოო ჯამში ორი ან მეტი ძლიერი სახელმწიფოს სურვილით, მათ შორის შექმნილ სტაბილურ, ნეიტრალურ ზონას წარმოადგენს ამგვარად, ძლიერ მეზობლებს უნდა აწყობდეთ მათ შორის პატარა/სუსტი სახელმწიფოს არსებობა, ბუფერული

სახელმწიფოსთვის კი უაღრესად მნიშვნელოვანია მოახერხოს ძლიერ მეზობლებთან ხელსაყრელი ურთიერთობის დამყარება.

ამდენად, ბუფერული სახელმწიფოები უმეტესად შეზღუდული შესაძლებლობებისა და საერთაშორისო სისტემაზე მცირე გავლენის მქონე პატარა/სუსტი სახელმწიფოები არიან, რომლებსაც საკუთარი სუვერენიტეტისა თუ ბუფერული როლის შესანარჩუნებლად მათ ხელთ არსებული შიდა რესურსების ეფექტურად გამოყენება ესაჭიროებათ. თუმცა ამის გაკეთების შემთხვევაშიც კი მათი ბედი მნიშვნელოვანწილად დიდი/ძლიერი სახელმწიფოების ნება-სურვილზეა დამოკიდებული.

1.2. ბუფერული სახელმწიფოს ტიპები

საერთაშორისო ურთიერთობებში ბუფერული სახელმწიფოს მხოლოდ და მხოლოდ სამ ტიპს ვხვდებით, რომელსაც მ. უაითი გვთავაზობს. იგი ბუფერულ სახელმწიფოებს შემდეგნაირად აჯგუფებს: ”ტრიმერები”, ”ნეიტრალები” და ”სატელიტები”.¹⁸ იმის დასადგენად, რომ გავიგოთ, რომელი ბუფერული ქვეყანა,

რომელ კატეგორიას მიეკუთვნება საჭიროა განვსაზღვროთ თითოეული მათგანის მნიშვნელობა.

¹⁸ ალექსანდრე რონდელი, პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში, „ნეკერი“, მეორე გამოცემა (2009), გვ.12

”ტრიმერი“ ისეთი ბუფერია, რომელიც ახერხებს გარკვეული გავლენა იქონიოს თავის უფრო ძლიერ მეზობელზე და ამავე დროს მეტოქეებზე. იგი ცდილობს მათ წაკიდებას და მათ შორის მანევრირებას.

”ნეიტრალი“ ისეთი სახელმწიფოა, რომელსაც არ გააჩნია აქტიური საგარეო პოლიტიკა, იგი ცდილობს თავისთვის იყოს და ყველა სხვა სახელმწიფოსა თუ საერთაშორისო ორგანიზაციისგან შეუმჩნეველი დარჩეს.

”სატელიტი“ კი ისეთი ქვეყანაა, რომლის საგარეო პოლიტიკას სხვა სახელმწიფო აკონტროლებს. ტრიმერიდან ნეიტრალიობაზე და შემდეგ სატელიტობაზე გადასვლა მკვეთრად გამოკვეთილი არ არის და მათ შორის აშკარა ზღვარის გავლება ხშირად ჭირს კიდევ. ძალთა წონასწორობის დარღვევამ შესაძლოა ერთსა და იმავე ბუფერულ სახელმწიფოს მოკლე ისტორიულ დროში ყველა ხსენებული ტიპის თვისებები მიანიჭოს და სამივე როლის შესრულება არგუნოს. ტრიმერის სტატუსის მქონე ბუფერს უნდა შეეძლოს გარკვეული გავლენის მოხდენა სხვა სახელმწიფოზე, მისი პოლიტიკისთვის დამახასიათებელი უნდა იყოს დამოუკიდებლობა და ამდენად, სხვისი გავლენის თავიდან არიდება.

ნეიტრალური ბუფერული სახელმწიფოს კარგ მაგალითად შეიძლება მივიჩნიოთ ის პატარა ქვეყნები, რომლებიც საფრანგეთი-გერმანიისა და საფრანგეთი-იტალიის საზღვრების გაყოფებით არიან განლაგებული. ასეთებია: შვეიცარია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები და ბელგია. რუსეთის ყველაზე გამაღიზიანებელი ბუფერული სახელმწიფოები პოლონეთი და თურქეთი იყო. აღსანიშნავია, რომ საბჭოთა კავშირმა ბუფერი მონღოლეთი სატელიტად აქცია, მისმა ჰეგემონობამ შეძლო ქვეყანა საკუთარი გავლენის ქვეშ მოექცია. ამჟამად, მონღოლეთი ნეიტრალი ბუფერის როლს ასრულებს.

თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების ფონზე აღნიშნული სამი ტიპის ბუფერის გამოკვეთა არცთუ ისე რთულია. ჩვენი კვლევის საგანი შესაძლებლობას გვაძლევს ბუფერის ეს სტატუსები სამხრეთ კავკასიის რეგიონის წარმომადგენლებს მოვარგოთ და გავიაზროთ მათი ადგილი საგარეო პოლიტიკაში.

ტრიმერის სტატუსი სამხრეთ კავკასიის რეგიონიდან, მისი დამოუკიდებელი პოლიტიკიდან გამომდინარე, ყველაზე ნათლად აზერბაიჯანს მიესადაგება, როგორც ცნობილია, ქვეყანამ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, იმგვარი პოლიტიკური მიმართულება აირჩია, რაც მისი აზრით ეროვნული ინტერესების გათვალისწინებას მოიაზრებდა და არ დაარღვევდა რესპუბლიკის სახელმწიფოებრიობას. მან გადაწყვიტა ყოველგვარი სტრუქტურებისა თუ სახელმწიფო მფარველობისგან დამოუკიდებლად აეშენებინა ახალი სახელმწიფო, რაც ცალსახად, ხაზს უსვამს აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტრიმერი ბუფერის სტატუსს.

შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული ცნებები მთლად ნათელი არ არის, ვინაიდან ნეიტრალური ბუფერი განხილულია, როგორც სხვა სახელმწიფოსგან შეუმჩნეველი ქვეყანა, რომელსაც არ აქვს აქტიური საგარეო პოლიტიკა, თუმცა სიტყვა გვეუბნება, რომ იგი ნეიტრალურია, ამდენად, მივიჩნევთ, რომ ტერმინი გარკვეულწილად შეიძლება ტრიმერის სტატუსის მქონე აზერბაიჯანსაც მოვარგოთ, რადგანაც ქვეყანა არ არის რომელიმე სხვა სახელმწიფოზე დამოკიდებული და შესაბამისად, დამოუკიდებელ, ნეიტრალურ პოლიტიკას აწარმოებს, სხვა სახელმწიფოების გაღიზიანების გარეშე და მათთან ურთიერთობის დაბალანსებით.

სატელიტი ბუფერის სტატუსი მიესადაგება სომხეთს, როგორც რუსეთის და საქართველოს, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების სატელიტ სახელმწიფოებს, რომელნიც მათგან პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სხვა საჭირო

დახმარების მიღების სანაცვლოდ, აღნიშნული ძლიერი სახელმწიფოების გავლენის სფეროს წარმოადგენენ.

სამხრეთ კავკასიის წარმომადგენელი ქვეყნების საგარეო პოლიტიკის განხილვა დაგვეხმარება უკეთ გავიაზროთ მოყვანილი ცნებების მნიშვნელობა და დავინახოთ, რამდენად სარგებლის ან უსარგებლობის მომტანია სახელმწიფოსთვის ამა თუ იმ ბუფერად ქცევა.

განხილული სამი ტიპის გარდა, საერთაშორისო ურთიერთობებში კვაზიბუფერის ცნებაც განიხილება და შესაძლოა ეს უკანასკნელიც კი შეესაბამებოდეს რომელიმე მათგანის საგარეო პოლიტიკას. ამის ნათელსაყოფად აუცილებელია ცნებების ბუფერისა და კვაზიბუფერის განსხვავებების დაფიქსირება. როგორც ზემოთ განვმარტეთ, ბუფერი არის ორ ძლიერ სახელმწიფოს შორის მოქცეული ქვეყანა, რომელიც მოქმედებს იმისათვის, რომ წარმოადგენდეს დამცავ ძალას მონინალმდევე ძალებს შორის, ამდენად, ის კონფლიქტის ესკალაციას აბრკოლებს. კვაზიბუფერი კი მხოლოდ ერთი მიმართულებით მოქმედებს და ერთი რომელიმე ძალისთვის ასრულებს თავდაცვის ფუნქციას, რაც მეტოქე ძალებს შორის მშვიდობის შენარჩუნებას ნაკლებად უწყობს ხელს. ამდენად, ვერ ვიტყვით, რომ სამხრეთ კავკასიის ქვეყნები შეიძლება კვაზიბუფერის როლს ითავსებდნენ, რადგანაც აღნიშნულ ქვეყნებს არასოდეს გაუმწვავებიათ კონფლიქტი ძლიერ სახელმწიფოებს შორის, სამაგიეროდ აღნიშნული სახელმწიფოების სურვილს-გაეძლიერებინათ გავლენა სამხრეთ კავკასიის რეგიონის სასურველ ქვეყანაში, შესაძლოა გამოენვია დაინტერესებულ მხარეთა შორის სიტუაციის გამწვავება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ამაში მათი ინტერესის ობიექტი არის დამნაშავე. ეს ცხადია, მისგან დამოუკიდებელი პროცესია და ვერ დავადანაშაულებთ, როგორც სახელმწიფოებს შორის კონფლიქტის ხელშემწყობს.

კავკასიის რეგიონის წარმომადგენელ ქვეყანათა საგარეო პოლიტიკურ კურსს თუ გავაანალიზებთ და წარმოვაჩინთ არსებულ ურთიერთობებს მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოებთან თუ ევროინტეგრაციის სტრუქტურებთან, შეგვიძლია დავადასტუროთ მათი ბუფერობა. იმ დროიდან, როდესაც საბჭოთა კავშირი დაიშალა და სახელმწიფოები შეუდგნენ დამოუკიდებლობის გზას, საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთისთვისაც წარმოიშვა ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა, რა დროსაც საჭიროებამ მოითხოვა კონფლიქტების მოგვარების მიზნით, მათი სვლა რომელიმე ძლიერი სახელმწიფოსკენ. დაძაბულობა საქართველოსთვის აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის, აზერბაიჯანისა და სომხეთისთვის კი მთიანი ყარაბაღის კონფლიქტში გამოვლინდა. სწორედ ამ მწვავე პრობლემების აღმოსაფხვრელად, ჩვენმა ქვეყანამ დასავლეთის ევროპული სტრუქტურებისკენ და აშშ-კენ, ხოლო სომხეთმა-რუსეთისკენ აიღო გეზი, რათა მათი მხარდაჭერით მოეხდინათ საკუთარი ტერიტორიების დაბრუნება. მათგან განსხვავებით, აზერბაიჯანმა, როგორც უკვე აღვნიშნეთ განსხვავებული მიმართულება აირჩია. აღნიშნული მაგალითი ნათლად წარმოაჩენს საქართველოსა და სომხეთის, როგორც სატელიტი ბუფერისა და აზერბაიჯანის, როგორც ტრიმერის პოლიტიკას, რადგანაც საქართველოსაც და სომხეთსაც უწევდა და უწევს იმ დამბუფრებელ სახელმწიფოთა ინტერესების გაზიარება, რომელნიც მათ აღნიშნული პრობლემის მოგვარებაში ეხმარებიან, აზერბაიჯანი კი მტკიცედ დგას მის მიერ 1992 წლიდან არჩეულ პოლიტიკურ გზაზე და ახერხებს დააბალანსოს ურთიერთობები ნებისმიერ სახელმწიფოსთან. ამგვარად საქართველოცა და სომხეთიც 1991 წლიდან წარმოადგენენ ბუფერებს აშშ-სა და რუსეთისათვის.

აქვე მნიშვნელოვნად მივიჩნით, წარმოვაჩინოთ ბუფერული და კვაზიბუფერული სახელმწიფოების სივრცული განლაგება, რაც დაპირისპირებულ ძალებს შორის, თეორიულად, შემდეგ ფორმებს შეიძლება იღებდეს:

1. ბუფერი ან კვაზიბუფერი უშუალოდ ესაზღვრება - სახმელეთო საზღვრით ეხება - ორ ან მეტ მოწინააღმდეგე ძალას. ამის მაგალითებია:
 - იტალიასა და ავსტრიას (1867-1918 წლებში ავსტრია-უნგრეთი) შორის;
 - პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია და ლიტვა 1918-1939 წლებში გერმანიასა და რუსეთს (1922 წლიდან საბჭოთა კავშირს) შორის;
 - ქუვეითი 1961 წლიდან ერაყსა და საუდის არაბეთს შორის;
 - ავსტრია, ფინეთი და იუგოსლავია 1949/1955-1991 წლებში ნატო-სა და ვარშავის პაქტს შორის;
 - ყაზახეთი 1991 წლიდან რუსეთსა და ჩინეთს შორის;
 - ფინეთი 1991 წლიდან რუსეთსა და ნატო-ს შორის;
 - საქართველო და აზერბაიჯანი 1991 წლიდან რუსეთსა და ნატო-ს შორის;

2. ბუფერს ან კვაზიბუფერს სახმელეთო საზღვარი აქვს ერთ-ერთ მოწინააღმდეგე ძალასთან ხოლო მეორისაგან (მესამისაგან და ა.შ.) მას წყლის სისტემა აშორებს (სრუტე, ყურე, ზღვა და სხვა). ამის მაგალითებია:
 - კორეა ადრეული შუა საუკუნეებიდან 1910 წლამდე ჩინეთის მე-19 საუკუნის მეორე ნახერიდან, დამატებით რუსეთსა და იაპონიას შორის უკანასკნელისაგან გამიჯნული კორეის სრუტით;
 - ბელგია 1831-1945 წლებში პრუსიას, საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთს შორის, ამ უკანასკნელისაგან განცალკევებული ლა-მანშის და პა-დე-კალეს სრუტეებით;
 - ალბანეთი 1912-1943 წლებში სერბეთის, ჩერნოგორიას, საბერძნეთსა და იტალიას შორის, უკანასკნელისაგან გამოყოფილი ადრიატიკის ზღვითა და ოტრანტოს სრუტით;

3. ბუფერი ან კვაზიბუფერი კუნძულია და ორი ან მეტი მოწინააღმდეგე ძალისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვან წყლის სისტემაში მდებარეობს. ორ ან მეტ მეტოქე

ძალას შორის განლაგებული სუსტი სახელმწიფო მათგან ყოველთვის თანაბარი მანძილით დაშორებული არ არის. ხშირად ის ერთ-ერთ ძლიერ სახელმწიფოსთან ან ალიანსთან უფრო ახლოს მდებარეობს, ვიდრე მეორესთან, რაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მის გეოპოლიტიკურ როლს, ან იმას, ბუფერია ეს სახელმწიფო თუ კვაზიბუფერი.¹⁹

ასე, რომ ბუფერისა თუ კვაზიბუფერის სტატუსის გასააზრებლად ცხადია, მნიშვნელოვანია მისი გეოგრაფიული მდებარეობის განსაზღვრა. ამ ფაქტორით სახელმწიფო ხდება აღნიშნული სტატუსის მატარებელი. როდესაც სუსტი ქვეყანა რომელიმე ძლიერ სახელმწიფოს ებჯინება ის მისი კვაზიბუფერის ფუნქციას ასრულებს, რადგან ეს „მიტმასნება“ ბუფერისგან განსხვავებით, ერთ ქვეყანასთან ხდება. მაგალითად აშშ-თან გარკვეული ხნით კანადის მეზობლობამ განაპირობა მისი კვაზიბუფერად გადაქცევა ცივი ომის დასაწყისში, ასევე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების საბჭოთა კავშირთან გეოგრაფიულმა სიახლოვემ ხელი შეუწყო მათ კომუნისტურ ბლოკში შეყვანას და სხვ. მაგრამ ეს რეალობა არ გულისხმობს იმას, რომ ქვეყანა მხოლოდ მისი მეზობლის ბუფერი ან კვაზიბუფერი იყოს. ის შეიძლება იმ სახელმწიფოს მიერ იქნეს დაბუფერებული, რომელიც მისგან შორს მდებარეობს, მაგრამ ამ სუსტი სახელმწიფოს ერთ რომელიმე მეზობელზე საგრძნობლად ძლიერია. მაგალითად პოსტსაბჭოთა ზოგიერთი ქვეყნის რუსეთის კვაზიბუფერად ან რუსეთსა და ჩრდილოატლანტიკურ ალიანსებს შორის ბუფერად ყოფნის ნაცვლად, აშშ/ნატო-ს კვაზიბუფერად გახდომა (ლიტვა, ლატვია, ესტონეთი), ზოგიც კი ამ სტატუსის მოპოვებას ცდილობს (საქართველო, უკრაინა).

¹⁹Michael Handel, *Weak States in the International System* (London: Frank Cass, Second Edition, 1990), 173.

საქართველო აშშ-ის სატელიტ სახელმწიფოსწარმოადგენს. ქვეყანისადმი ინტერესი არ ცხრება, რაზეც ნათლად მეტყველებს შემდეგი:

- ერთი მხრივ, რუსეთი საქართველოს კვაზიბუფერად შენარჩუნებას ცდილობს, ბელორუსიისა და ცენტრალურ აზიაში დსთ-ის კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის სხვა წევრების: ყაზახეთისა და მისი მოსაზღვრე ყირგიზეთის, უზბეკეთისა და ტაჯიკეთის მსგავსად, „უარეს შემთხვევაში“ კი საქართველოს ბუფერულ სტატუსზე დროებით თანხმდება, უახლოეს ხელსაყრელ ვითარებაში კვლავ საკუთარ კვაზიბუფერად გადაქცევის მიზნით.
- მეორე მხრივ, საქართველოს არც რუსეთის კვაზიბუფერად და არც რუსეთსა და აშშ/ნატოს-ს შორის ბუფერად ყოფნა არ სურს (თუმცა უწევს).

დღეისათვის საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტი რუსეთის გეოპოლიტიკური ორბიტიდან თავის დაღწევა და ევროატლანტიკური უსაფრთხოების სივრცეში შეღწევაა.

ახლო პერსპექტივაში საქართველოს, როგორც ორ მეტოქე ძალის პოლუსს შორის მოქცეულ სუსტ, ბუფერულ სახელმწიფოს, საერთაშორისო სისტემაში შემდეგი სხვადასხვა გეოპოლიტიკური როლის შესრულება შეუძლია:

1. ტრიმერი ბუფერის - იმ შემთხვევაში თუ „სამხრეთ ოსეთსა“ და აფხაზეთში დისლოცირებული რუსეთის შეიარაღებული ძალები დატოვებენ საქართველოს ტერიტორიას, ან მათ საერთაშორისო სამშვიდობო ძალები შეცვლის, ხოლო საქართველო ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსში განწევრიანებისაკენ სწრაფვაზე უარს იტყვის;
2. აშშ/ნატო-ს კვაზიბუფერის - იმ შემთხვევაში, თუ რუსეთის შეიარაღებული ძალები „სამხრეთ ოსეთიდან“ და აფხაზეთიდან გავლენ, ან მათ საერთაშორისო სამშვიდობო

კონტიგენტი ჩაენაცვლება, ამავდროულად, კი საქართველო ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის წევრი გახდება ან აშშ-სთან ორმხრივ სამოკავშირეო ხელშეკრულებას გააფორმებს, რის შემოდგომაც მის ტერიტორიაზე აშშ-ის ან ნატო-ს წევრი სხვა რომელიმე ქვეყნის სამხედრო ძალები შეიძლება განთავსდეს;

3. რუსეთის კვაზიბუფერის - იმ შემთხვევაში, თუ რუსეთის შეიარაღებული ძალები „სამხრეთ ოსეთსა“ და აფხაზეთში დარჩებიან და საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზეც „ექსკლუზიური უფლებით“ განლაგდებიან, ხოლო საქართველო ნატო-ში ინტეგრაციასა და აშშ-სთან უარს იტყვის;
4. ეკონომიკური და პოლიტიკური ხილის - იმ შემთხვევაში, თუ რუსეთსა და აშშ/ ნატო-ს შორის სამხედრო-პოლიტიკური მეტოქეობა ჭეშმარიტი თანამშრომლობითა და მეგობრობით შეიცვლება, საქართველო თავის ტერიტორიულ მთლიანობას აღადგენს, რუსეთიდან საფრთხეს აღარ იგრძნობს და ძალის პოლიტიკაზე ორიენტირების საჭიროებას აღარ დაინახავს.²⁰

მოყვანილი დებულებების გაანალიზება, გვიჩვენებს, რომ საქართველო, როგორც ბუფერი საკმაოდ მიმზიდველია არა მხოლოდ აშშ-თვის, არამედ რუსეთისთვისაც. რეალობა გვიჩვენებს, რომ ქვეყანა წარმოადგენს აშშ-ის სატელიტს და ამასთანავე, აქ განლაგებულია რუსეთის შეიარაღებული ძალა, რაც საკმაოდ ართულებს ქვეყნის საგარეო მდგომარეობას. მას უწევს გარკვეული ქმედებების განხორციელება (თუნდაც მისი სურვილის საწინააღმდეგოდ) იმის გამო, რომ ყოველთვის ჰქონდეს აშშ-ის თანადგომის იმედი რუსეთის აგრესიისგან დასაცავად. ამდენად, მისი როგორც სატელიტი ბუფერის როლი ასეთ შემთხვევაში სასარგებლოც კი არის.

²⁰Zbigniew Brzezinski, The Grand Chessboard (New York: Basic Books, 1997), გვ.87

თავი 2.სამხრეთ კავკასიური ქვეყნები, როგორც ბუფერული სახელმწიფოები და მათი განვითარების თავისებურებანი

2.1. სამხრეთ კავკასიის ქვეყნების საგარეო პოლიტიკის თავისებურებები

1990-იანი წლები მსოფლიო სივრცის, მისი პოლიტიკური რუკის გადასხვაფერების პერიოდი იყო, როდესაც საბჭოთა კავშირის ყოფილმა ქვეყნებმა სრულიად სხვა პოლიტიკურ განზომილებაში გადაინაცვლა. „რკინის ფარდად“ წოდებული გალაგანი 1992 წელს ჩამოიშალა და ახალბედა ქვეყნებმა სხვადასხვა მიმართულებით იწყეს სვლა. ახლად წარმოქმნილი სახელმწიფოებისთვის საკმაოდ საპასუხისმგებლო პერიოდი დადგა. მათ იმგვარი პოლიტიკური სივრცე უნდა აერჩიათ, სადაც ახალი სახელმწიფოს დაშენებას მყარ ფუნდამენტზე დაეყრდნობინათ. ასეთი ბედი ერგოთ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს, მათ ყველაზე მეტად გაუჭირდათ დამოუკიდებლობის განმტკიცება, რადგანაც საბჭოთა კავშირისათვის რეგიონის გეოგრაფიული მდებარეობა, იმდენად მიმზიდველი ფაქტორი გახლდათ, რომ მას ძალიან უჭირდა დაეთმო ეს ქვეყნები და გაეთავისუფლებინა ისინი საკუთარი გავლენისაგან. ამავდროულად, მსოფლიოს მეორე ჰეგემონმა, აშშ-მა გადანწყიტა საკუთარი გავლენის ზონა სწორედ სამხრეთ კავკასიის რეგიონის, მისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სახელმწიფოს-საქართველოს ტერიტორიაზე შეექმნა, რაშიც მას მონინალმდევე თითქმის არ ჰყავდა. ამგვარ „ლაზისში“ მყოფი რეგიონი ცდილობდა შეემუშავებინა ეფექტური პოლიტიკა, საკუთარ ქვეყანაში მყარი დემოკრატიზაციის განსამტკიცებლად.

საქართველოც, აზერბაიჯანიცა და სომხეთიც ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული პოლიტიკური კურსით ცდილობდა მათთვის წარმოშობილი

პრობლემების დაძლევისა და ამ რთული ვითარების ფონზე სახელმწიფოებრიობის განტკიცებას. მათი ტრანსფორმაციის პერიოდი რთული იყო იმ მონაცემებიდან გამომდინარე, რომ ქვეყნისათვის ყველაზე მტკივნეული, ტერიტორიული მთლიანობის მოგვარება დიდ ძალისხმევასა და სწორ, ეფექტურ საგარეო პოლიტიკის განვითარებას საჭიროებდა.

საქართველოსთვის-აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის, სომხეთ-აზერბაიჯანისთვის კი-მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი ამოსავალი წერტილი გახლდათ, რეგიონის ქვეყნების საგარეო პოლიტიკის ორიენტაციის განსასაზღვრელად. ყოველი მათგანი ეძებდა ძლიერ მოკავშირეს, რათა მისი „ქოლგის“ ქვეშ გაერთიანებულს, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, სუვერენიტეტის განმტკიცება და უსაფრთხოების სტაბილურობა შეძლებოდა. საქართველოსთვის ამგვარ „ქოლგად“ აშშ-ი მიიჩნეოდა. ამან განაპირობა ჩვენი ქვეყნის დასავლური ვექტორის არჩევა და აშშ-ის სატელიტად გადაქცევა. სიტუაციას ხელს უწყობდა აშშ-ის საქართველოსადმი ინტერესიც. მისი პოლიტიკა გამომდინარე იქიდან, რომ გულისხმობს ლობისტების (ლობისტი ქვეყნების ფორმირებას) შექმნას, საკუთარი წესებით მსოფლიო გეოპოლიტიკური მოთამაშეების მართვას, რეგიონის ეს ქვეყანა ინტერესების განხორციელების საშუალებას აძლევდა.

სამხრეთ კავკასიის რეგიონის მეორე მნიშვნელოვანი წარმომადგენელი ქვეყნის, აზერბაიჯანის პოლიტიკური ორიენტაცია მის მიერ ბენიტში აყვანილი „დამოუკიდებლობის ხარისხის“ სურვილით განისაზღვრა. უფრო ზუსტად, რომ ვთქვათ, მისთვის ეროვნული ინტერესების გათვალისწინება იყო უპირველესი, რაზეც დაშენდებოდა ძლიერი სახელმწიფო, ხოლო ევროპული სტრუქტურები სრულიად არღვევდა ეროვნულ ღირებულებებს. აზერბაიჯანის რესპუბლიკის განწყობა დასავლეთის მიმართ იმ ფაქტორმაც განსაზღვრა, რომ გააჩნია პოტენციალი, ქვეყანაში არსებული ბუნებრივი რესურსის ხარჯზე აწარმოოს დამოუკიდებელი

პოლიტიკა. მსოფლიოს უძლიერესი ქვეყნის ინტერესი აზერბაიჯანში კი მას შემდეგ გაიზარდა, როცა ცნობილი გახდა კასპიის ზღვის რესურსის არსებობის შესახებ. კასპიის ზღვის აზერბაიჯანული სექტორი აშშ-ის მიერ მისი ეკონომიკური სივრცის „ნაკლებობის“ შემაჯავებლად იქნა მიჩნეული. ამ მიზნით დაიწყო ქვეყანამ აღნიშნული მარაგების დაზვერვა.

აშშ-ის ენერჯეტიკის სამინისტროს მონაცემებით, კასპიის ზღვის აუზის რესურსები შემდეგნაირად გამოიყურებოდა: ნავთობი 17-დან 33 მლრდ. ბარელამდე, ხოლო პოტენციური მარაგი 223 მლრდ. ბარელამდე. სწორედ ამ საკითხმა განაპირობა მისი სწრაფვა რესპუბლიკისადმი და აქტიური ჩართულობა ნავთობმაგისტრალების მშენებლობის ხელშეწყობისათვის. აღნიშნულმა ვითარებამ გამოიწვია აშშ-ის საგარეო პოლიტიკური სიის გამრავალფეროვნება, მასში კავკასიის რეგიონის ჩანერით.²¹

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ორივე ქვეყანას, საქართველოსაც და აზერბაიჯანსაც უდიდესი როლი ენიჭება აშშ-ის მიზნების განხორციელებისთვის. მათი სტრატეგიული მდებარეობა მონოპოლ ქვეყანას საშუალებას აძლევს, ხელსაყრელი სატრანსპორტო პროექტების განხორციელებით, აზერბაიჯანის ბუნებრივი მარაგი დასავლეთისკენ მიმართოს.

სრულიად განსხვავებული აქცენტები ახასიათებს სომხეთის საგარეო პოლიტიკას. მისთვის დამოუკიდებლობა კვლავ რუსეთთან იყო და არის ასოცირებული. ქვეყანამ მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირისგან გამოვიდა, ისევრუსეთის გავლენის ქვეშ ისურვა ყოფნა. სომხეთი რუსეთის ინიციატივით შექმნილ „ევრაზიის ეკონომიკური კავშირის“ წევრი გახდა. ეს რუსეთსპოსტსაბჭოურ სომხეთზე გავლენის გაფართოების საშუალებას აძლევს. სომეხი ექსპერტები ეჭვობენ, რომ სომხეთმა ევკავ-ის წევრობა იმ

²¹ალადაშვილი. ბ., „სამხრეთ კავკასია გეოპოლიტიკურ გზაჯვარედინზე: ეკონომიკური ინტეგრაცია თუ ომი“ - თბილისი 2010წ.გვ.55

ინტერესიდან გამომდინარე აირჩია, რომ ყარაბაღის კონფლიქტში რუსეთის მხარდაჭერითესარგებლა. წინააღმდეგ შემთხვევაში ჰეგემონი მის თანადგომამზე უარს იტყოდა. სომხეთი ხელისუფლების პრორუსული გაერთიანების წევრობის მომგებიანობაზე თამამად საუბრობს, მანეკონომიკური კრიზისიდან დაძლევის მიზნითაც გადადგა ეს ნაბიჯი. მაგრამ თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების არენა სომხეთისთვის ნელ-ნელა მიმზიდველი ხდება, რაც დასავლეთის სტრუქტურებთან თანამშრომლობის სურვილითა და განხორციელებული ეკონომიკური კავშირებით მტკიცდება. ამის პარალელურად ერევანი ამტკიცებს, რომ ევეკ-ის წევრობა არაა დაბრკოლება ევროკავშირის წევრი გახდეს. და რომ ევეკ-ის პროგრამებში თანამშრომლობით მხოლოდ და მხოლოდ ეკონომიკურ სარგებელს მოელის და იყენებს მხარდაჭერას რუსეთისგან, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარების მიზნით.

დღესდღეობით, აზერბაიჯანი, სომხეთი და საქართველო ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულ პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური გამოწვევების წინაშე დგანან და ამდენად, მასთან გამკლავების განსხვავებულ გზებს ირჩევენ. ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერით საქართველო აგრძელებს ევროპისკენ სვლას, სომხეთი რუსეთის ფედერაციის მიერ ინიცირებულ ევრაზიულ კავშირს ირჩევს, ხოლო აზერბაიჯანი მაქსიმალურად იყენებს ენერგეტიკის მწარმოებელი ქვეყნის უპირატესობას და არ ჩქარობს ქვეყანაში დასავლეთის მიერ დაწესებული ნორმების შემოღებას. სამივე ქვეყნას ენერგეტიკული სექტორის განვითარების განსხვავებული მახასიათებელი გააჩნია. სომხეთი თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო, უარს ვერ ამბობს ატომურ ელექტროსადგურზე და ახალი ბირთვული რეაქტორის მშენებლობა ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობისთვის სასიცოცხლო აუცილებლობად მიაჩნია. საქართველო არსებული ჰიდროელექტროენერჯის მაქსიმალურად ათვისებას

გვემავს, აზერბაიჯანი კი საკუთარი რესურსის საექსპორტო ბაზების დივერსიფიცირებას ცდილობს.

2.2. აზერბაიჯანი, როგორც ტრიმერი და მისი პოლიტიკა

1991 წლის დასასრულს მსოფლიოში მომხდარმა უდიდესმა გარდატეხამ, რაც საბჭოთა სოციალისტური სისტემის დაშლით გამოვლინდა, მნიშვნელოვანი ძვრები შეიტანა მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე. ეს გამოწვეული იყო იმ ფაქტით, რომ აღნიშნული სისტემის ყოფილმა ქვეყნებმა ახალი პოლიტიკის შენება დაიწყეს. ისინი რთულ და ექსტრემალურ ვითარებაში აღმოჩნდნენ. სისტემის შემადგენელმა თითოეულმა მათგანმა იმგვარი საგარეო მიმართულება აირჩია, სადაც ესახებოდათ მიზნის მიღწევის იოლი და სრულყოფილი გზა. სამხრეთ კავკასიის ქვეყნების პოლიტიკური ორიენტირები ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებული მახასიათებლებით გამოირჩეოდა. თითოეული მათგანისთვის არაერთი პრობლემა წარმოიშვა. მტკივნეული იყო ტერიტორიული მთლიანობის საკითხი. მყარი სახელმწიფოების ასაშენებლად და ამდენად, დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად ქვეყნებს ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმების რთული კურსი უნდა განეხორციელებინათ.

სამხრეთ კავკასიის რეგიონის თითოეული ქვეყნის, როგორც სხვადასხვა სახის ბუფერის ბედს მათი გეოგრაფიული მახასიათებლები განსაზღვრავს. ბუფერის სტატუსიდან გამომდინარე, შეიძლება ვისაუბროთ მათთვის დამახასიათებელ საგარეო პოლიტიკაზე. აზერბაიჯანის, როგორც ტრიმერი ბუფერის პოლიტიკა ცალსახად, ხასიათდება ყველასგან დამოუკიდებელი კურსით. ქვეყნის მიერ არჩეული

დაბალანსების პოლიტიკა ამავდროულად, ნეიტრალური სახელმწიფოს ფუნქციას ანიჭებს.

მაიკლ პარტემის ხედვით, ბუფერულ სახელმწიფოს სამი ტიპის საგარეო პოლიტიკური ორიენტაცია შეიძლება ჰქონდეს:

1. ნეიტრალიტეტი;
2. ალიანსი ერთ ან მეორე დაბუფერებულ ძალასთან;
3. მესამე ზალაზე დაყრდნობა.²²

თანამედროვე აზერბაიჯანის რესპუბლიკის საგარეო ურთიერთობებში ჩართულობას თუ გადავხედავთ, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი ნეიტრალიტეტის ჩარჩოებს არ სცდება, საიდანაც გამომდინარეობს მისი, როგორც ტრიმერის სტატუსიც. ნეიტრალურობა ცხადია, გულისხმობს ბუფერული სახელმწიფოს მიერ მეზობელი დიდი სახელმწიფოების კონფლიქტში მიუმხრობელი პოზიციის დაკავებასა და საკუთარ ტერიტორიაზე მათი შეიარაღებული ძალების არდაშვებას. დასტურად შეიძლება იმ ფაქტის მოხმობა, რომ აზერბაიჯანი სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის ერთადერთია, რომლის ტერიტორიაზეც არ იმყოფება სხვა რომელიმე, თუნდაც მისი მეზობელი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალა.

საბჭოთა ქოლგიდან გამოსული აზერბაიჯანი, სახელმწიფოს განმტკიცებას ყველა საერთაშორისო ორგანიზაციისაგან დამოუკიდებლად ცდილობდა, თუმცა 1991 წლიდან დღემდე მისი პოლიტიკური ქრონოლოგიიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანამ დამოუკიდებლობის პირველ წლებში, უშუალოდ აბულფაზ ელჩიბეის პრეზიდენტობისას (1991-1993 წწ), საგარეო პოლიტიკის ვექტორი თურქეთთან დაახლოებაში გამოხატა. ეს რამდენიმე ფაქტორით იყო

²²Michael Partem, "The Buffer System in International Relations," Journal of Conflict Resolution, Vol. 27.

განპირობებული. უპირველესად, ელჩიბეი თვლიდა, რომ აზერბაიჯანის ეროვნული იდეის შექმნაში მისთვის მისაბაძი სეკულარული თურქეთი და არა ისლამური ირანი უნდა ყოფილიყო. ამასთანავე, თურქეთი დასავლეთთან დამაკავშირებელ ხიდადაც მიიჩნეოდა, ეს ფაქტორი გარკვეულწილად დასავლეთისაკენ სწრაფვასაც ადასტურებს. ელჩიბეის მკვეთრად პრო-თურქულმა ორიენტაციამ რუსეთისა და ირანის გაღიზიანება გამოიწვია. თურქეთიც ფიქრობდა, შეძლებდა თუ არა საკუთარი რესურსით წინააღმდეგობის გაწევას ამ ორი ძლიერი სახელმწიფოსთვის. ელჩიბეის მიერ აზერბაიჯანის ტერიტორიიდან რუსული სამხედრო ნაწილების გაყვანა, წინააღმდეგობა ქვეყნის დსთ-ში განევრიანების საკითხისადმი, დასავლეთის მხარდაჭერით რუსეთის, ირანისა და სომხეთის დაბალანსება იმ ფაქტზე მიუთითებს, რომ მისი პოლიტიკა მიმართული იყო ურთიერთობების დაბალანსებისკენ, რაც ერთმნიშვნელოვნად აუცილებელი იყო ისეთ ვითარებაში, როგორშიც სომხეთი მიიჩნეოდა აზერბაიჯანის ტერიტორიის მთლიანობის დამრღვევად, რომელმაც მისი საკუთრების დაახლოებით მეხუთედი მიიტაცა, ირანი, რომელიც საფრთხეს წარმოადგენდა, როგორც ისლამური სახელმწიფო და ამასთანავე, სომხეთის მოკავშირე, რუსეთი კი კასპიის ზღვის სამართლებრივი სტატუსის მოდავე აზერბაიჯანთან და ასევე სომხეთის მოკავშირე ყარაბაღის კონფლიქტში.²³

ჰეიდარ ალიევის დროინდელი აზერბაიჯანი (1993-2003) რუსეთის სასიხარულოდ არა ევროპული, არამედ ევრაზიული კავშირისკენ მიისწრაფოდა. მისი საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტი რუსეთთან და ირანთან ურთიერთობის ნორმალიზება გახლდათ, რის დასტურადაც 1993 წლის სექტემბერში ის მოსკოვში ჩავიდა და დსთ-ს ქარტიას მოაწერა ხელი, ასევე რუსეთის ინიციატივით შექმნილ, კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულებას შეუერთდა, რაც საზოგადოების

²³ ისმაილოვი, ე., შაჰავეა, ვ., ცენტრალური კავკასია: გეოპოლიტიკური ეკონომიის ნარკვევები- გამომცემლობა: „დიოგენე“ 2007წ. გვ.89

მხრიდან შეუვასდა, როგორც რუსეთთან დაახლოებისკენ გადადგმული ნაბიჯი, თუმცა ჰეიდარ ალიევის საკუთარი გათვლები გააჩნდა აღნიშნულთან დაკავშირებით, რაშიც ჰეიდარ ალიევის ძირითადი მიზნის მიღწევის სურვილი იმალებოდარუსეთის დახმარებითაღედგინა აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობა.გადადგმული ნაბიჯით ალიევმა აგრესორი ქვეყანა დააშოშმინა. აღნიშნულ კავშირში შესვლა ალიევისათვის არ გულისხმობდა რუსეთის დაქვემდებარებაში ყოფნას. იგი უარს ამბობდა რუსეთის მიერ შეთავაზებული ისეთი ხელშეკრულების მონერაზე, რაც მის თავისუფლებას შეზღუდავდა. მისი წინააღმდეგობა ხაზს უსვამს ჰეიდარ ალიევის დამოუკიდებელ პოლიტიკას. პრეზიდენტმა უარი განაცხადა ირან-აზერბაიჯანის ტერიტორიაზე რუსული სამხედრო შენაერთების განთავსებაზე. მიუხედავად, ალიევის გათვლებისა რუსეთთან ურთიერთობა მაინც დაიძაბა. ეს გამომდინარეობდა კასპის ზღვის რეგიონს სტატუსის საკითხიდან, რაშიც აზერბაიჯანისა და რუსეთის ინტერესები ერთმანეთს არ დაემთხვა.

საკითხის ქრონოლოგია მოითხოვს ჰეიდარის შვილის, ილჰამ ალიევის დროინდელი (2003 წლიდან-დღემდე) აზერბაიჯანის საგარეო პოლიტიკის მიმართულებების განსაზღვრას, რაც ერთმნიშვნელოვნად დამოუკიდებელი პოლიტიკის სახეა. ილჰამ ალიევის განწყობა დასავლური სტრუქტურისადმი მის არაერთ განაცხადში გამოიკვეთა. მოხმობილი ციტატა სრულიად ავლენს პრეზიდენტის პოზიციას დასავლური სტრუქტურებისადმი: „ევროპაში გამეფებული დისკრიმინაციისა და ისლამოფობიის ფონზე აზერბაიჯანი არ აპირებს ევროპულ საზოგადოებაში ინტეგრაციის პროცესის გააქტიურებას. არ არის საჭირო, არავითარი აუცილებლობა არ არსებობს ინტეგრაციის, განსაკუთრებით დისკრიმინაციისა და ისლამოფობიის პერიოდში. ჩვენ არასდროს არავინ დაგვხმარებია, რასაც მივალწიეთ

ყველაფერი საკუთარი ძალისხმევით. არავისგან დახმარებას არ ველოდებით და არც ვსაჭიროებთ. ჩვენს საქმეში ჩარევაც არ არის საჭირო“²⁴- აცხადებს ალიევი.

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა კავშირის „მარწუხებისგან“ გათავისუფლებული აზერბაიჯანი, ცდილობს დამოუკიდებელი პოლიტიკა აწარმოოს, რათა ზიანი არ მიაღვეს ქვეყნის ეროვნულ ღირებულებებსა და თვითმყოფადობას. იგი დაბალანსების პოლიტიკით ამყარებს ურთიერთობას მსოფლიოს არაერთ სახელმწიფოსთან. საერთაშორისო ურთიერთობებისკენ მიმართული ქვეყნის აღნიშნული ვექტორი ცხადია, არ გულისხმობს მისი სავაჭრო თუ სხვა ურთიერთობის სივრცის იზოლაციას. ამის დასტურია მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოსა თუ საერთაშორისო ორგანიზაციებთან არსებული ორმხრივი ურთიერთობები, რაც თავისთავად აზერბაიჯანის ეროვნული ინტერესების დაცვის პირდაპირპროპორციულია.

აზერბაიჯანის პოლიტიკური ისტორიის ეს პერიოდი (ილჰამ ალიევის პრეზიდენტობა) დიდად არ განსხვავდება მისი წინამორბედებისგან. ამ დროის აზერბაიჯანის საგარეო პრიორიტეტი ისევე, როგორც წინა პრეზიდენტების, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და სეპარატიზმის დაძლევა გახლდათ, თუმცა განსხვავება მიზნის მისაღწევად, მათ მიერ განხორციელებულ ქმედებებში აისახა. დაბალანსების პოლიტიკა ალიევს ეხმარებოდა სხვადასხვა სახელმწიფოების მხრიდან საფრთხის ასარიდებლად და მწვავე ურთიერთობის განსამუხტად, თუმცა ვერ დაეხმარა იმ ძირითადი კონფლიქტის მოგვარებაში, რასაც მისთვის მთიანი ყარაბაღი ქმნის. აზერბაიჯანისთვის საბჭოთა სისტემისგან მემკვიდრეობით დატოვებულმა ამ კონფლიქტმა დაპირისპირებული სახელმწიფოების, სომხეთისა და

²⁴ნატოსთან ინტეგრაციისა და ტერიტორიული კონფლიქტების მოგვარების პერსპექტივები,

<https://ge.boell.org/ka/2014/09/29/, 15/05/2018>

აზერბაიჯანის ლობისტი ქვეყნებისგან შემდგარი ბლოკების შექმნა გამოიწვია. ერთის მხრივ, რუსეთ-ირანი-სომხეთი და მეორეს მხრივ, აზერბაიჯან-თურქეთი აღნიშნული წინააღმდეგობის საკუთარი სურვილისამებრ მოგვარებას ცდილობდა.

კონფლიქტის დროს გართულდა აზერბაიჯანის ურთიერთობა ირანთან, რაც შემდეგი ვითარებიდან იღებს დასაბამს: აზერბაიჯანისთვის მძიმე ვითარებაში ირანი დახმარებას ქრისტიანულ სომხეთს უწევდა. ირანის მიზანი იყო აზერბაიჯანი ჩართული ყოფილიყო სომხეთთან ომში, რადგან ქვეყანა არასტაბილური და ამდენად, ირანში მცხოვრები აზერბაიჯანელებისთვის ნაკლებად მიმზიდველი გამხდარიყო. მალევე ურთიერთობები რუსეთთან და ირანთან დარეგულირდა, რაც შვილი, ილჰამ ალიევის პოლიტიკის შედეგი იყო, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ქვეყნებს ერთმანეთის მიმართ სრული ნდობა გააჩნიათ.

ელჩიებისგან განსხვავებით, რომელიც სომხეთს, რუსეთსა და ირანს უდიდეს საფრთხედ მიიჩნევდა და მათთან ურთიერთობების დარეგულირებას თურქეთისა და დასავლეთის დახმარებით ცდილობდა, მამა ჰეიდარ ალიევი რუსეთისა და ირანის როლს აცნობიერებდა ყარაბაღის კონფლიქტში და ცდილობდა მათთან ურთიერთობების ნორმალიზებას. ილჰამ ალიევი კი კონფლიქტის მოგვარებასა და ამდენად, აზერბაიჯანის ოკუპირებული ტერიტორიების სომეხთა ანკლავიდან გათავისუფლებას, არა მხოლოდ ერთი რომელიმე სახელმწიფოს დახმარებით, არამედ საერთაშორისო ურთიერთობებში არსებული ორგანიზაციების აქტიური ჩართულობით ახერხებდა. სწორედ ამ დროს ეუთოს ეგიდით შეიქმნა „მინსკის ჯგუფი“, რომლის მიზანიც კონფლიქტის დიპლომატიური ურთიერთობებით მოგვარება იყო. თუმცა საბოლოო შედეგი, როგორც ვხედავთ ჯერჯერობით მიუღწეველია. ილჰამ ალიევის პოლიტიკა აშშ-თან დაახლოებითაც ხასიათდება, კონფლიქტში მისი მხრიდან დახმარების განწევის იმედით. ქვეყანა საკმაოდ დიდ პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სამხედრო დახმარებას ირებს აშშ-დან. მათ ერთობლივი სამხედრო

წვრთნებიც კი ჩაატარეს კასპიის ზღვაში აზერბაიჯანის ფლოტის და სამხედრო მეზღვაურების გაწვრთნის მიზნით.

აზერბაიჯანის საგარეო კურსის განხილვა იძლევა ნათელ სურათს, მისი, როგორც ტრიმერის პოლიტიკისას. სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის განსხვავებული პოლიტიკური კურსით გამორჩეული, ძლიერ სახელმწიფოებს შორის მოქცეული ეს რესპუბლიკა პერმანენტულად ცდილობდა მათთან ურთიერთობების დაბალანსებას, რაშიც მას ქვეყანაში არსებული ბუნებრივი რესურსი, კერძოდ, ნავთობი დიდ დახმარებას უწევს. მარაგი ქვეყანას საშუალებას აძლევს სასურველი პოლიტიკა გაატაროს, რაც ქვეყნის საგარეო პრიორიტეტად შეიძლება მივიჩნიოთ.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული საგარეო ორიენტირები, საშუალებას აძლევს აწარმოოს ტრიმერი ბუფერის პოლიტიკა, თუმცა რამდენად არის აღნიშნული სტატუსი მომგებიანი, ტერიტორიული პრობლემის მოგვარებისა თუ დემოკრატიის ხარისხის განსაზღვრისათვის რთული სათქმელია.

2.3. სომხეთი, როგორც რუსეთის სატელიტი და ევრაზიული კავშირის წევრი

სომხეთის, როგორც სატელიტი ბუფერის წარმოსადგენად, საჭიროა მოკლე ექსკურსი, რაც თვალნათელს გახდის მისი პოლიტიკის ხასიათს. საბჭოთა სოციალისტური სისტემის ტრანსფორმაციის შედეგი იყო მის წევრ ქვეყანათა სრულიად განსხვავებულ პოლიტიკურ არენაზე გადასვლა. დამოუკიდებლობის საწყის ეტაპზე, მათ ასევე დამოუკიდებლად განსაზღვრეს თავიანთი გეოსტრატეგიული ორიენტაციები. ქვეყნებში არსებულმა ბუნებრივმა რესურსმა, თუ ხელსაყრელმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ მსოფლიოს ძლიერ სახელმწიფოებს ბიძგი მისცა, საკუთარი გავლენის გასაძლიერებლად ებრძოლათ სასურველ

ქვეყანაში, რამაც თავისთავად გამოიწვია ამ პატარა სახელმწიფოების პოლიტიკის მიმართულებაზე გავლენის მოხდენა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი სომხეთისათვის სატელიტის სტატუსის მინიჭება.

სომხეთის პოლიტიკური ვექტორი ცალსახად, საბჭოთა კავშირის დაშლის პერიოდში მისთვის წარმოქმნილი ტერიტორიული მთლიანობის პრობლემისას განისაზღვრა. სომხეთ-აზერბაიჯანის მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი და სომხეთის მიერ მოწინააღმდეგე სახელმწიფოს ტერიტორიის 20%-ის ოკუპირება გახდა მიზეზი, ვითარებაში მსოფლიოს ძლიერი სახელმწიფოების ჩართულობისა. სწორედ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტმა განსაზღვრა სომხეთის პოლიტიკური კურსი საგარეო ურთიერთობებში, სადაც რუსეთი მის მომხრე ძალად აღიქმებოდა. რუსეთმა შეძლო ქვეყანაში გავლენის გაფართოება, სწორედ ამ კონფლიქტში განეული თანადგომით გათვალა.

მეზობელ ქვეყნებს შორის გაღვივებული კონფლიქტის მწვავე პერიოდში, სომხეთს ძალიან უჭირდა ბალანსის დაცვა. მას უნდა დაეძლია უნდობლობა და მტრული განწყობა თურქეთთან, როგორც აზერბაიჯანის მოკავშირესთან. ამასთანავე, უნდა დაებალანსებინა ურთიერთობა მტრულად განწყობილ ირანსა და აშშ-თან, რომელიც მისი მოწინააღმდეგის, აზერბაიჯანის სტრატეგიულ პარტნიორად მიიჩნეოდნენ. ამგვარმა პოლიტიკურმა ვითარებამ სომხეთის ახლანდელ მმართველს გადააწყვეტინა არ დაეშვა წინა პრეზიდენტის ტერ პეტროსიანის დროინდელი შეცდომები-რუსეთის ტრადიციული კავშირიდან განდგომისა და დასავლეთისა და თურქეთის მიმართ განონასწორებული მიდგომით, რის გამოც პეტროსიანი აიძულეს თანამდებობიდან გადაამდგარიყო.²⁵

²⁵კაკაჩია. ვ., მაისტერი. ს., ფრიკე. ბ., „გეოპოლიტიკა და უსაფრთხოება: აცხალი სტრატეგია სამხრეთ კავკასიისათვის“-თბილისი, 2018წ.

სომხეთის სახელმწიფო დაძაბულობიდან თავის დაღწევის სურვილით, რუსეთის ევრაზიულ კავშირში განწევრიანებას ისახავდა მიზნად. ტერ პეტროსიანის(1990-1997წწ) პრეზიდენტობის შემდგომი პერიოდი რობერტ ქოსარიანისა (1997-2008წწ) თუ სერჟი სარგისიანის (2008წლიდან დღემდე) მმართველობის ხანა და მათთვის დამახასიათებელი საგარეო პოლიტიკური კურსი, უდავოდ მოითხოვდა თურქეთის მიერ გენოციდის აღიარებას, რაც სომხეთის საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვან ქვაკუთხედს წარმოადგენდა. ბოლო უკანასკნელი პრეზიდენტების პოლიტიკის პრიორიტეტები პეტროსიანის პოლიტიკისგან განსხვავებული იყო. მათ მიერ არჩეულ ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში შესვლა რუსეთთან ურთიერთობის სტაბილურობის ხანგრძლივი გათვლა და ამავდროულად, ქვეყნის ეკონომიკური პროგრესისთვის ხელშეწყობა გახლდათ.

რუსეთი ყოველთვის მოიაზრებოდა სომხეთის სტრატეგიულ პარტნიორად და მისი უსაფრთხოების მთავარ გარანტად. 2014 წლის 29 მაისს მინსკში ვლადიმირ პუტინთან, ნურსულთან ნაზარბაევთან და ალექსანდრე ლუკაშენკოსთან ერთად სომხეთის პრეზიდენტმა, სერჟი სარგისიანმა შესაბამის დოკუმენტს მოაწერა ხელი, რაც ნიშნავს იმას, რომ სომხეთმა ტრადიციული ლიბერალური სავაჭრო მიდგომა, კავშირში შემავალი სამი ქვეყნის პროტექციონისტული პოლიტიკით უნდა ჩაანაცვლოს.

კავშირის სახელწოდებიდან გამომდინარე, არ უნდა ვითქვითოთ, რომ აღნიშნული ორგანიზაცია მხოლოდ ეკონომიკური მიზნების მიღწევისთვისაა შექმნილი. ევრაზიის ეკონომიკური კავშირი-პროექტი ითვალისწინებს, არა მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ სამხედრო ინტეგრაციასაც. თუმცა, უმთავრესი მიზანი კავშირში გაერთიანებისა, სომხეთისათვის ითვალისწინებდა ქვეყნის ეკონომიკურ პროგრესს და ამ მიზნით გარკვეული სავაჭრო ურთიერთობის დამყარებას მის წევრ ქვეყნებთან.

2015 წლიდან დღემდე, მას შემდეგ, რაც ქვეყანა სისტემის წევრი გახდა, სომხეთის სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან პროცესის ეფექტურობის შეფასება სხვადასხვანაირია.

სომხეთის დამოუკიდებელი ეკონომისტები ამტკიცებენ, რომ ევკ-ის ქვეყნებში სომხეთის ეკონომიკური ზრდა ევრაზიულ კავშირში შესვლის პირველ 2015 წელს 3%-მდე შემცირდა, იზრდება მხოლოდ ქვეყნის სახელმწიფო ვალი. 2014 წელს სახელმწიფო ვალმა 4,4 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, 2015 წელს 5,08 მილიარდი, 2016 წელს 5,8. 2017 წლის პროგნოზით კი სახელმწიფო ვალი 6,3 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია.²⁶

ევკ-ის მონაცემები ცხადია, პოზიტიური შედეგებით იწონებს თავს, რაც მისსავე ანგარიშში ვლინდება. ანგარიშის მიხედვით, 2016 წელს კავშირის წევრ ქვეყნებში სომხეთის ექსპორტი 53%-ით გაიზარდა და წარმოების ზრდის ტემპებით ლიდერი გახდა. დღემდე დავის საგანია ინტეგრაციის რომელი კავშირი უფრო მეტი წარმატების მომტანია რეგიონის აღნიშნული ქვეყნისათვის, ევრაზიული თუ ევროპული? კავშირის მომხრენი ცდილობენ მოწინააღმდეგის ინტერესი თავისკენ გადაწონონ. ეკონომიკური სარგებელი კი ქვეყნისათვის ის გამოწვევაა, რასაც შეუძლია სახელმწიფოს ინტერესი ორივე სტრუქტურისკენ მიმართოს.

ამასვე ადასტურებს სომხეთის პრეზიდენტის სერჟ სარგისიანის განცხადება, რაც გაუღერებულ იქნა ბრიუსელში, ევროპული სახალხო პარტიის სამიტზე გამოსვლისას. მისი თქმით, „სომხეთი ისეთი ქვეყანაა, რომელიც წარმატებულად უთავსებს

²⁶სომხეთი ევრაზიული ეკონომიკური კავშირის წევრი გახდა, <http://www.tabula.ge/ge/story/88518-somxeti-evraziuli-ekonomikuri-kavshiris-tsevri-gaxda> , 19/05/2018

ევრაზიული ეკონომიკური კავშირის წევრობასა და ევროკავშირთან სამეზობლო სტრატეგიაში მონაწილეობას“. სარგისიანი პროგნოზირებს, რომ სომხეთი მომავალშიც ამ კურსს განაგრძობს.

ევროკავშირსა და სომხეთს შორის 2013 წლის სექტემბრამდენამდე ჩამოყალიბებული შეთანხმებები „თავისუფალი ვაჭრობისა და ევროკავშირთან ასოცირების შესახებ“, ცხადპყოფს, ქვეყნის სწრაფვას ევროპული კავშირისკენ. ხელის შეშლა კი მიზნის მისაღწევად, გარკვეული ზენოლის ქმედებად შეიძლება შეფასდეს. 3 სექტემბერს ვლადიმერ პუტინთან შეხვედრის შემდეგ, სომხეთის პრეზიდენტმა, სერჟ სარგისიანმა განაცხადა, რომ ქვეყანა ევრაზიულ კავშირს შეუერთდა, რაც არათუ მოქალაქეებისათვის, არამედ სახელმწიფო წარმომადგენლებისთვისაც სრული მოულოდნელობა იყო. ზენოლის ბერკეტად შეიძლება მიჩნეულ იქნეს მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი. აღნიშნულ ვითარებაში რუსეთი საკუთარი ძალის დემონსტრირებას ახდენს, მის მიერ დაპირისპირების ორივე მხარისათვის მიყიდული საბრძოლო მასალა თუ იარაღი ხაზს უსვამს ფაქტს, რომ კონფლიქტის სიმწვავე სახელმწიფოებს შორის სწორედ ჰეგემონობით შეპყრობილ რუსეთზეა დამოკიდებული. არსებული რეალობა და შესაბამისად, სომხეთის, რუსეთის მიერ შექმნილ კავშირში შესვლა სწორედ ზემოაღნიშნული ქეისით არის განპირობებული, რის გამოც ქვეყანა მიიჩნევს, რომ კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების მიხედვით, რუსეთი სომხეთის გარე აგრესიისგან დაცვის ვალდებულებას იღებს. მისი პრორუსული გაერთიანებისკენ სწრაფვა კი, როგორც ვხედავთ აზერბაიჯანთან შექმნილმა ტერიტორიულმა პრობლემამ წარმოშვა.

დღეს სომხეთის პოლიტიკოსთა ნაწილი ევკ-ში ყოფნის სარგებელს ვეღარ ხედავს. მათ მიაჩნიათ, რომ რუსეთი მათ ქვეყანას საშუალებას არ მისცემს ევროკავშირთან ხელშეკრულება გააფორმოს. პოლიტოლოგ, ლეონ ნარსესიანის თქმით: „ ჩვენ არაერთი მწარე გამოცდილება გვაქვს, თუ როგორ დაგვახვეინა უკან ჩვენმა

სტრატეგიულმა პარტნიორმა, თუნდაც გასულ ზაფხულს. საქართველოს 2017 წლის სექტემბრის წვრთნებში სომხეთმა მონაწილეობაზე უარი სწორედ მოსკოვის ზედმეტი გაღიზიანების თავიდან ასარიდებლად განაცხადა, ამიტომაც სულაც არ არის გამორიცხული, რუსეთმა სარქისიანს უკვე გადაწყვეტილ საკითხზე აზრი შეაცვლეფინოს²⁷. 2017 წლის 24 ნოემბერს ევკ-სა და ექვს ყოფილ საბჭოთა ქვეყნის ლიდერებს შორის შეთანხმება „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ შესახებ ადასტურებს სომხეთის ევროპული ორგანიზაციისკენ მისწრაფებას.

საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის, ფედერიკა მოგერინის განცხადებით, „ეს შეთანხმება სომხეთსა და ევროკავშირს შორის, გლობალური, პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების კუთხით ურთიერთობის საზღვრებს გაათავართოვებს, ამასთან, სომხეთში ბიზნეს გარემოსა და ინვესტიციების შესაძლებლობების გაუმჯობესებას, დემოკრატიას, ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის აღიარებას დაეხმარება. შეთანხმება მხარს უჭერს ასევე მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მშვიდობიან დარეგულირებას. მისივე თქმით, ესაა ერთადერთი ქვეყანა, რომელთანაც პირველად დაიღო შეთანხმება, რომელიც ამავე დროს არის ევრაზიული ეკონომიკური კავშირის“ წევრი.

შესაბამისად, სომხეთის საგარეო პოლიტიკურ კურსს უმეტესწილად, განსაზღვრავს მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი და ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა, აღნიშნული კონფლიქტის დარეგულირების მიზნით კი, სომხეთი იმგვარ პოლიტიკას ახორციელებს, რაც მის სტრატეგიულ პარტნიორს, რუსეთს არ გააღიზიანებს.

2.4. სომხეთი და ევროკავშირი

²⁷სომხეთი-ევრაზიულ კავშირსა და ევროკავშირს შორის...<https://www.ambebi.ge/article/217355-somxeti-evraziul-kavshirsa-da-evrokavshirs-shoris>, 12/06/2018

უპირველესად უნდა ითქვას, რომ ევროპულ ინტეგრაციას მისი კუთვნილი მნიშვნელობა გააჩნია სომხეთის რესპუბლიკაში, რომელიც სამხრეთ კავკასიის დანარჩენი ქვეყნებისგან განსხვავებული ფორმით გამოირჩევა. სომხეთის საზოგადოება ჯერ კიდევ არაა ინფორმირებული, თუ რას ნიშნავს „ევროპული ინტეგრაცია“ და რას „ევროპასთან ინტეგრაცია“, ეს უკანასკნელი დღეისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა სომხეთის პოლიტიკის ლიდერებს შორის. „ევროპული ინტეგრაცია“ ცხადია, სულაც არ ნიშნავს იმ რეფორმებს, რაც ქვეყანას გზას უხსნის საერთაშორისო სივრცეში მნიშვნელოვანი პოლიტიკური თუ ეკონომიკური სვლებისთვის. სომხეთის საზოგადოებისათვის „ევროპასთან ინტეგრაცია“ გაიგივებულია აკულტურირებასთან, ამდენად, ერთი კულტურის მეორე კულტურასთან შერწყმასთან. ყოფილ კომუნისტურ სახელმწიფოში, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, სომხეთში ევროპული კულტურა და ამასთანავე, ეროვნულ ღირებულებებზე დაფუძნებული პარაგიდმები ცხადია, არსებობს იმ დოზით, რა დოზითაც ეს ხელს არ შეუძლის ეროვნულის გაქრობას. მათთვის ევროპული ღირებულებების შექმნა სწორედ ამ მოცემულობიდან არის გამომწვეული. სომხეთისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის საკითხები, რაც არათუ დააზიანებს მის ეროვნულ ღირებულებებს, არამედ ხელს შეუწყობს საზოგადოებისა თუ სახელმწიფოს პროგრესს. უშუალოდ ეს საკითხებია: დემოკრატიის გაძლიერება, კორუფციის აღმოფხვრა, სამართლიანობის დამკვიდრება, ადამიანის უფლებების დაცვა და მისთანანი, რაც არაა დაკავშირებული უცხოურ პოლიტიკასთან.

ქვეყნა ირჩევს ისეთი ტიპის პოლიტიკურ ორიენტაციას, რომელიც ორსახოვნებას ქმნის. ეს გულისხმობს ევროპასა და რუსეთს შორის მანევრირებას. მსგავსი გაორება სახელმწიფოსთვის საკმაოდ რთულია. კონტრასტულ პოზიციაზე მყოფი სომხეთი ცდილობს, თავიდან აიცილოს განმეორებითი პრობლემები, რაც ყოველთვის იყო

რუსეთსა და დასავლეთს შორის. დასავლური ორიენტაცია არ გულისხმობს ავტომატურად ანტირუსულ პოზიციებს ან პირიქით, ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია იყოს პრორუსული, მაგრამ არ ფქონდეს ანტიევროპული განწყობა. სომხური პოლიტიკის შედეგი კი იმგვარია, რომ იგი აღქმულია დასავლეთისთვის პრორუსული, რუსეთისთვის კი პროდასავლური სახელმწიფოდ. რესპუბლიკას უწევს „გუშავის“ პოზიციის დაკავება. რუსეთის მიერ შექმნილი ევრაზიული კავშირის წევრობის მიუცხედავად, მისთვის ევროპული მოდელი განხილულია, როგორც საუკეთესო მოდელი სოციუმის ფინანსური კეთილდღეობისთვის.

მოგეხსენებათ, 1992 წელს სომხეთმა დაიწყო ბრძოლა აზერბაიჯანთან. რუსული არმია ერთ-ერთი პოტენციური რესურსი იყო საბრძოლო ვითარებაში. ახლად შექმნილ დამოუკიდებელ ყოფილ საბჭოთა სახელმწიფოს არ ჰქონდა საბრძოლო იარაღი და ტექნიკური აღჭურვილობა. ნატო-ს გაერთიანება ან სხვა ქვეყნები მისთვის არ აღმოჩნდა ალტერნატივა, ამიტომ ბრძოლა იმართებოდა მხოლოდ რუსული იარაღით. აქედან გამომდინარე, რუსეთთან მეგობრულმა ურთიერთობამ სომხეთს მისცა, არა მხოლოდ იარაღი, არამედ უზრუნველყო უსაფრთხოების გარანტიებით. იმ დროისთვის, როდესაც სომხეთმა დაიწყო აქტიური ჩართულობა ნატო-ში, რესპუბლიკა მაინც დარჩა რუსული უსაფრთხოების მექანიზმის წევრად. მან რუსეთის ჯარებს უფლება მისცა განლაგებულიყო მის ტერიტორიაზე.

ყოფილი ტოტალიტარული ქვეყნების განვითარება ეკონომიკური თვალსაზრისით, უცხოური ინვესტიციებს საჭიროებს. კორიდოლოურ ჩიხში მდებარე სომხეთი ბუნებრივი რესურსების სიმცირეს განიცდის. თურქეთის საზღვრის გამოყენების თავიდან აცილების მიზნით, სხვა მეზობელი ქვეყნის რამდენიმე საზღვარს იყენებს. ქვეყანაში წარმოშობილმა ეკონომიკურმა კრიზისმა და ტერიტორიული კონფლიქტის მოუგვარებლობამ ევროპულ სტრუქტურებთან თანამშრომლობის სურვილი აღძრა.

სომხეთის მიდრეკილება ევროპული სტრუქტურებისკენ, უშუალოდ გამოჩნდა მაშინ, როცა დაიწყო მოლაპარაკება ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების შესახებ. შეთანხმება სომხეთსა და ევროკავშირს შორის 2013 წლის 24 ნოემბერს უნდა გაფორმებულიყო, თუმცა ვერ შედგა. ეს გამოწვეული იქნა ვლადიმერ პუტინის სერჟ სარგისიანთან შეხვედრით. ამ უკანასკნელმა გადაწყვეტილება, რომელიც ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებას გულისხმობდა ბოლო წუთს შეცვალა. სარგისიანმა მოულოდნელად განაცხადა, რომ ის რუსეთის, ბელორუსიისა და ყაზახეთის საბაჟო კავშირში გაერთიანდა და იმ პერიოდში ჯერ კიდევ არარსებული ევრაზიის ეკონომიკურ კავშირში განწევრიანებას აპირებდა. გადაწყვეტილებამ ცხადია, აღნიშნული ევროპული სტრუქტურის გაღიზიანება გამოიწვია, რასაც მოჰყვა ორგანიზაციის განცხადება: „იგი არ გააფორმებდა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებას ისეთ, ქვეყანასთან, რომელიც უკვე იყო სხვა საბაჟო კავშირის წევრი“.

რუსეთის მიერ შექმნილი ევრაზიული ეკონომიკური კავშირის წევრობა სომხეთს გარკვეულ დაბრკოლებას უქმნის მოახდინოს ევროინტეგრაცია, რაც გამოვლინდა კიდევ უკვე დაგეგმილი ასოცირების შეთანხმების განუხორციელებლობაში. მოტივი, თუ რამ განაპირობა 2015 წელს სომხეთის ეკონომიკურ კავშირში განწევრიანებიდან მცირე ხნის შემდეგ, ევროკავშირთან მოლაპარაკების განახლება ცოტა ბუნდოვანია, ზემოთქმული ჩამოილი შეთანხმების ფაქტის გათვალისწინებით. თუმცა, ამ ბუნდოვანების მიუხედავად, ქვეყანამ მოახერხა დაწყებული მოლაპარაკების ბოლომდე მიყვანა და ბრიუსელის სამიტზე ევროკავშირთან ჩარჩო ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. სერჟ სარგისიანის განცხადებით: „დროთა განმავლობაში აღნიშნული შეთანხმება აუცილებლად იქონიებს სათანადო ეფექტს, რადგანაც ევროკავშირის დახმარებით რეფორმების განხორციელების ფორმირება მოხერხდება და ამას

გარდა, სომხეთის მოქალაქეები ევროპაში თავისუფლად მიმოსვლის საშუალებას მიიღებენ“.²⁸

ევროკავშირთან ინტეგრაცია ქვეყნისთვის არაერთი ფაქტორით არის მიმზიდველი. სარგისიანის განცხადებით, ძალიან მნიშვნელოვანია ის ერთსულოვნება, რომელსაც ყარაბაღის კონფლიქტის დარეგულირების საკითხზე მომუშავე ეუთოს „მინსკის ჯგუფი“ ავლენს: „ესაა იშვიათი შემთხვევა, როდესაც ისინი სრულიად თანამშრომლობენ და ეს ჩვენთვის დიდი მიღწევაა“. ამგვარად, ინტერესი აღნიშნული სტრუქტურისადმი უპირველესად, ტერიტორიული მთლიანობის პრობლემით არის გამონვეული, რის გამოც ქვეყანა უსაფრთხოების განსამტკიცებლად სწორედ აღნიშნულ პროცესში მიზნის მიღწევისთვის აქტიურად თანამშრომლობს ევროპულ ორგანიზაციებთან. ქვეყნისთვის ევროპულმა ინტეგრაციამ შესაძლოა ეკონომიკური სიძლიერეც მოიტანოს, იგი მჭიდროდ თანამშრომლობს ტრანსპორტის, ენერგეტიკის, მიგრაციის, ბიზნესის, ინვესტიციებისა და ვაჭრობის სხვა სფეროებში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რუსეთს უდიდესი გავლენა აქვს სომხეთ-ევროკავშირის არსებულ, თუ სამომავლო ურთიერთობის განვითარებაზე, ვინაიდან, მსოფლიოს ეს უძლიერესი ქვეყანა სომხეთის დაბუფებულ ძალასა და სტრატეგიულ პარტნიორს წარმოადგენს. მათი ეს კავშირი მთიანი ყარაბაღის კონფლიქტიდან იწყებს ათვლას, როცა რუსეთი სომხეთის მხარდამჭერ ქვეყნად მოგვევლინა. სომხეთიც ვალდებულებას კისრულობს გაითვალისწინოს, მხარდამჭერის ინტერესები და შეასრულოს მისგან „ნაბრძანები“ ქმედებები, საგარეო ურთიერთობის ორბიტაზე. ამგვარი ვითარება სომხეთის გარკვეულ ნაწილში ეჭვს

²⁸სომხეთი-ევროკავშირი. მეორე, წარმატებული მცდელობა, <https://jam-news.net/?p=72425&lang=ka>,

ბადებს იმასთან დაკავშირებით, რომ შესაძლოა ქვეყანამ რუსეთის ზეწოლით კვლავ გადაიფიქროს ალიანსში განწევრიანება. სომეხი ექსპერტები ირწმუნებიან, რომ „არ იყო გამორიცხული, რუსეთს ხელმოწერის ჩაშლა ეცადა, მიუხედავად იმისა, რომ გავრცელებული ცნობების თანახმად დოკუმენტის ყველა პუნქტი მოსკოვთან იყო შეთანხმებული. სომხეთის ხელისუფლება ცდილობს არ გააღიზიანოს მისი მხარდამჭერი ქვეყანა, ამიტომ იგი გამუდმებით ირწმუნება, რომ ევროკავშირში მისი ასოცირება, სულაც არ მოდის წინააღმდეგობაში ევრაზიის ეკონომიკურ კავშირთან და რომ ამას აკეთებს მხოლოდ და მხოლოდ ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობისთვის“.

რუსეთი თითქოს არ ამახვილებს ყურადღებას მისი სატელიტი ქვეყნის ევროპისკენ მიდრეკილებაზე, ამავდროულად, რუსეთის ელჩი სომხეთში ივან ივან ვოლინკი გამაფრთხილებელ მიმართვას ავრცელებს ქვეყანასთან მიმართებაში. მისი თქმით, „სომხეთისთვის უსაფრთხოების გარანტიების მინიჭების საკითხში ევროპის კავშირი რუსეთს ვერ ჩაანაცვლებს. ამ მხრივ, საკუთრივ ევროკავშირიც „ნატოზე“ დამოკიდებული. დოკუმენტი, რომელიც გეგმის მიხედვით სომხეთსა და ევროკავშირს შორის უნდა გაფორმდეს, შეიცავს ევროკავშირის დამატებით ვალდებულებებს, სომხეთისთვის რაიმე სახის საჭირო პრეფერენციების მინიჭებასთან დაკავშირებით. გამომდინარე იქიდან, რომ ამჟამად, ევროკავშირსა და სომხეთს შორის ყველაზე ხელსაყრელი სავაჭრო რეჟიმი არსებობს და „GSPT“-ის სახელით ცნობილი პრეფერენციული სისტემა მოქმედებს“. მისივე თქმით „სომხეთს შეუძლია იქცეს თანამშრომლობის ხიდად ევროკავშირსა და ევრაზიულ კავშირს, დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის, იმ შუამავლად, რომელსაც ასე ხშირად ახსენებენ ხოლმე“.²⁹

²⁹სომხეთი-ევროკავშირი. მეორე, წარმატებული მცდელობა, <https://jam-news.net/?p=72425&lang=ka>,

11/06/2018

ამგვარად, რუსეთის პოზიცია აღნიშნულთან დაკავშირებით, სრულიად გასაგებია. საკუთარ ძალებში დარწმუნებული ჰეგემონისთვის, იმ ქვეყნის ნაბიჯი საგარეო ურთიერთობებში, რომელიც უკვე ათეული წლებია მისი გავლენის ქვეშ იმყოფება და რომლის არსებობა-არარსებობაც დიდწილად, სწორედ მასზეა დამოკიდებული „არაფრის“ მთქმელია.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში რთულად და ნელა იცვლებოდა საზოგადოების ჩართულობა პოლიტიკურ კულტურაში, დემოკრატიის ფორმები ძნელად განვითარებადი იყო და შეიძლება ითქვას ახლაც არის, უმეტესად ეს შეიმჩნევა სომხეთსა და აზერბაიჯანში, ქვეყნებში, რომელთა საზოგადოების ცნობიერება იმგვარ დონეზეა, რომ ევროპულისკენ მიდრეკილებას მათთვის მხოლოდ და მხოლოდ ღირებულებების მსხვრევა და გადაგვარება მოაქვს. სომხეთისთვის ეს იყო დამაბრკოლებელი მოტივი ევროპაში ინტეგრაციისთვის. მიუხედავად ამისა, ევროკავშირმა 1994 წლიდანვე დაიწყო პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებების გაფორმება (PCA) ქვეყნებთან, რომელიც მოიცავდა სავაჭრო ურთიერთობის გაძლიერებას და არ სთავაზობდა მათ კონფლიქტების მოგვარებაში აქტიურ ჩართულობას ან უსაფრთხოების გარანტიებს. ევროკავშირის შეთავაზება საბჭოთა კავშირის ქვეყნებისთვის გულისხმობდა, ლოიალობასა და ეკონომიკური კეთილდღეობის გაძლიერებას.

სომხეთისთვის ეს მოკლევადიანი სარგებელი იყო, ამიტომ მისთვის ევროპულ სტრუქტურაში ინტეგრაცია არ იყო უსაფრთხოების გარანტია. ქვეყანისთვის მეტად მომგებიანი რუსეთის მიერ შექმნილი კავშირის წევრობა ჩანდა. სომხეთს არ ჰქონდა სხვა გზა. მთიანი ყარაბაღის კონფლიქტში მხარდაჭერა მხოლოდ მის მიერ შექმნილი ევკ-ის წევრობით შეიძლებოდა მიღწეულიყო. ამ ვითარების მიუხედავად, სომხეთი ევროკავშირისკენაც გადაიხარა მისი ფინანსური დახმარებისა და საინვესტიციო

ბანკისა თუ ფონდის გამოყენების შესაძლებლობის გამო, რომელიც წელიწადში მინიმუმ 100 მლნ. ევროს აღწევს, რაც ქვეყანას ეხმარება ინფრასტრუქტურული პროექტების, მცირე ბიზნესის განვითარებაში და ა.შ.

უკვე აღვნიშნეთ, რომ რუსეთისთვის სომხეთის ევროკავშირისკენ სწრაფვა გაძლიანებული არ იყო. სომხეთი მოკავშირეს არწმუნებდა, რომ მისი ევროკავშირთან ურთიერთობა ქვეყნის პრორუსულ პოლიტიკას არ დააზარალებდა. რუსეთი კი საერთაშორისო ურთიერთობათა წარმომადგენლების „თავისმოსაწონებლად“ ამტკიცებდა, რომ არ ერევა სომხეთის შიდა და საგარეო ურთიერთობასა და მისი დემოკრატიული განვითარების არჩევანში.

ევროკავშირის ჩართულობა სომხეთში ვფიქრობთ, ხელს შეუწყობს ქვეყანაში ტრანსფორმაციას, გაზრდის სამოქალაქო ცნობადობას და გარკვეულწილად, შეამცირებს რუსეთის გავლენას ამ უკანასკნელზე.

თავი 3. საქართველოს დასავლურ-პოლიტიკური ვექტორი

3.1. საქართველოს, როგორც აშშ-ს სტრატეგიული პარტნიორის და სატელიტის პოლიტიკა

მსოფლიოს ორი რადიკალურად განსხვავებული ქვეყნის ურთიერთობა მეტად საინტერესოა, მითუმეტეს, როდესაც ეს ურთიერთთანამშრომლობა მოიცავს ერთის მხრივ, მსოფლიოს უძლიერესი ქვეყნის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და მეორე მხრივ, პატარა განვითარებადი ქვეყნის, საქართველოს პარტნიორობას. ურთიერთთანამშრომლობაორივე მათგანის ინტერესებიდან გამომდინარეობს, თუმცა უმეტესწილად, ძლიერი ქვეყნის ამბიციებიდან, რის გამოც მისი ინტერესის სფერო(საქართველო) შესაძლოა მისი სურვილისგან დამოუკიდებლადაც კი გახდეს დამბუფებელი სახელმწიფოს(ამერიკის) სატელიტი.

1991 წლიდან საბჭოთა კავშირის აღდგენის შემდეგ, საქართველო აღმოჩნდა განსხვავებული ძალისა და პრესტიჟის მქონე სახელმწიფოებისა თუ ალიანსების ინტერესთა ურთიერთშეჯახების არეალში. ერთი მხრივ, რუსეთმა დაიწყო საქართველოში საკუთარი გავლენის შეკავება სამხედრო პოლიტიკური თუ ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებით (1991-1992 წლებში სამხრეთ-ოსეთისა და 1992-1993 წლებში აფხაზეთის კონფლიქტის გაჩაღებით) მეორე მხრივ, აშშ-მა და მისმა პარტნიორებმა ჩრდილო ატლანტიკური ალიანსიდან (რომელიც თურქეთის ტერიტორიით ეხება საქართველოს) აქტიური თანამშრომლობა განავითარეს საქართველოსთან, რაც დასტურდება შემდეგით: საქართველოს ევროპისა და აზიის დამაკავშირებელ ენერჯეტიკულ დერეფნად გადაქცევით (ბათუმი-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის გაყვანის შესახებ ხელშეკრულების დადებით 1999 წელს და მისი

მშენებლობის დანყებით 2003 წელს) და საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანით (1999 წლის ნოემბრის ეუთო-სტამბულის სამიტზე ვაზიანისა და გუდაუთის სამხედრო ბაზების გაუქმების შესახებ დადგენილების მიღებით).

საქართველო მისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო იოლადა მოექცა აშშ-ის ინტერესთა არეალში, რაც აშშ-თვის ბიძგის მიმცემი გახდა, განხორციელებინა მისი მიზნებისათვის საჭირო ქმედებები, რამაც გამოიწვია საქართველოს აშშ-ის სატელიტად გადაქცევა. ქვეყანამ იმასაც მიაღწია, რომ 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ რეგიონის სამივე ქვეყანა და მათ შორის, საქართველო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში აქტიურად ჩაერთო. მათ საჰაერო ზონა გაუხსნეს აშშ-ს და მის მოკავშირეებს. ამერიკაც უცხადებს თანადგომას ჩვენს ქვეყანას. აგვისტოს ხუთდღიანი ომის შემდეგ ჯორჯ ბუშ უმცროსი ორჯერ ჩამოვიდა საქართველოში და გამოხატა თავისი პოზიცია ქვეყნის სუვერენიტეტისა და ხელშეუხებლობის შესახებ. ომის შემდგომ ამერიკამ 116,3 მილიონი დოლარი გადმორიცხა ქვეყნის რეაბილიტაციისათვის, მაგრამ უსაფრთხოების თვალსაზრისით, ამაზე მეტ გარანტიას არ სთავაზობს. 2009 წლის 9 იანვარს აშშ-საქართველოს ქარტიის პარტნიორობის შესახებ³⁰ გაფორმება ურთიერთობებს ამყარებს. ის ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის მიმართულებებს განსაზღვრავს და საქართველოს ნატოში მისწართვებასა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ აშშ-ის მხარდაჭერას ადასტურებს. საქართველოს მხრიდან მუდმივი გამეორებები ნატოში გაწევრიანებასა და აშშ-თან პარტნიორობაზე, რთულად წარმოსადგენს ხდის რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებას.

³⁰ აშშ-საქართველოს ქარტია სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ,

<https://ka.wikipedia.org/wiki,6/06/2018>

ქართია არის გაფორმება აშშ-საქართველოს მრავალწლიანი პარტნიორობისა, რომელიც კიდევ ერთხელ ადასტურებს ორი ქვეყნის სტრატეგიულ ურთიერთობებს. ერთგვარად, ესაა პასუხი რუსეთის ქმედებებისადმი საქართველოს წინააღმდეგ, რომელსაც ადგილი ჰქონდა 2008 წლის აგვისტოსა და შემოდგომაზე. ამ ნაბიჯით აშშ-მა ოკუპანტ ქვეყანას დაანახა საქართველოსადმი მფარველობა. 2010 წელს მიხეილ სააკაშვილის თეთრ სახლში ბარაკ ობამასთან შეხვედრაზე განხილულ იქნა საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის პროცესი. სტრატეგიული პარტნიორობის დასტურად შეიძლება მივჩნიოთ 2017 წლის 5 მაისს დონალდ ტრამპის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი, სადაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა მათ ეროვნულ ინტერესად გამოცხადდა.

აშშ-ის ჩართულობა ქვეყნის თითქმის ყველა სფეროში გულისხმობს მათი ინტერესების სრულებით გაზიარებასა და დათანხმებას საქართველოს მხრიდან. საქართველო, როგორც მისი სატელიტი იძულებული ხდება იმოქმედოს აშშ-ის ინტერესების გათვალისწინებით. არ უნდა დაგვავიწყდეს 2010 წლის მარტიდან აშშ-ის საზღვაო ქვეითი ძალების შემადგენლობაში ქართული ბატალიონების მონაწილეობა ავღანეთში მიმდინარე ISAF-ის ოპერაციაში.

საგარეო საქმეთა მინისტრი მიხეილ ჯანელიძე ორმხრივ ურთიერთობებს შემდეგი პრიზმიდან აფასებს: „საქართველოს ამოცანაა აშშ-ის მხრიდან საქართველოს განვითარების, დემოკრატიის კონსოლიდაციის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის, ქვეყნის ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიმართმტკიცე ოპერატიული მხარდაჭერის უზრუნველყოფა, ასევე აშშ-სა და საქართველოს შორის სტრატეგიული პარტნიორობის ქართის ყველა

მიმართულებით ურთიერთობების შემდგომი დამტკიცება“.³¹ აშშ-ის მიერ საქართველოსათვის თავდაცვითი შეიარაღების გადმოცემის გადანყვეტილება, საიდუმლო ინფორმაციის დაცვის თანამშრომლობის შეთანხმება, საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამით (GDRP) საქართველოს თავდაცვითი შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა, სავაჭრო და საინვესტიციო ურთიერთობების კუთხით თანამშრომლობის გაღრმავება და მსხვილ ინფრასტრუქტურულ პროექტებში ამერიკული კომპანიების ჩართვა, არის დასტური იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლება კმაყოფილებას გამოთქვამს წინგადადგმული ნაბიჯების გამო.

საქართველოსა და აშშ-ის ურთიერთობისას ხაზგასასმელია, 2018 წლის 24 მაისს აშშ-ის სენატში საქართველოს მხარდამჭერი რეზოლუციის შესვლა,³² რაც ხაზს უსვამს აშშ-ის მტკიცე მხარდაჭერას საქართველოსა და ქართველი ხალხისადმი. რეზოლუცია მხარს უჭერს აშშ-სა და საქართველოს შორის თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში პარტნიორობის გაღრმავებასა და გაძლიერებას, ქვეყნებს შორის სავაჭრო და კომერციული ურთიერთობების განვითარებას, რაც ორივე ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარეობს. აშშ-ის მიერ გადადგმული ნაბიჯებით იგი აფიქსირებს საქართველოს ნატოში განწევრიანებისადმი მტკიცე მხარდაჭერას და ადასტურებს ევროატლანტიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში საქართველოს უდიდეს წვლილს.

³¹ ჯანელიძე: აშშ-თან, როგორც საქართველოს მთავარ სტრატეგიულ პარტნიორთან თანამშრომლობის გაღრმავებას დიდი ყურადღება ეთმობა“. 20.12.2017, <http://www.interpressnews.ge/ge/politika/469739-mikheil-janelidze-ashsh-sthan-rogorc-saqarthvelos-mthavar-strategiul-partniorthan-thanamshromlobis-gaghrmavebas-didi-yuradgheba-etmoba.html?ar=A,08/06/2018>

³² აშშ-ის კონგრესში საქართველოს მხარდამჭერი რეზოლუცია შევიდა, <https://on.ge/story>, 09/06/2018

აშშ-ის კონგრესი გმობს საქართველოს განუყოფელი ტერიტორიების აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონის მავთულხლართებით გამაგრების ნეგატიურ შედეგებს. სენატი აღნიშნავს, რომ რუსეთის სამხედრო ინტერვენციიდან 10 წლის შემდეგ, რუსეთის ფედერაცია კვლავ არ ასრულებს ევროკავშირის შუამავლობით 2008 წლის 12 აგვისტოს დადებულ ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას და ასობით ათას გადაადგილებულ პირსა და ლტოლვილს შეზღუდული აქვს საკუთარ საცხოვრებელ ადგილას დაბრუნების უფლება. მიუხედავად აშშ-ის კონგრესიის მიერ რეზოლუციაში განწერილი მონაცემებისა, რეალობა გვიჩვენებს, რომ მისი მონოდებები რუსეთისადმი ვერ არის შედეგის მომტანი, რასაც მონშობს არსებული რეალობა. რუსეთის ჯარის განლაგება ცხინვალის რეგიონში, საოკუპაციო ხაზების გადანევა და საქართველოს გატაცებულ მოქალაქეთა რაოდენობა, მათ შორის მათი წამებისა და მკვლელობის ფაქტები, ნათქვამის დადასტურებაა.

ფაქტი, რომ საქართველო არის აშშ-ის სატელიტი და სტრატეგიული პარტნიორია, საერთაშორისო სივრცეში არსებული წესებით, მოითხოვს აღნიშნულ სახელმწიფოში არსებულ პრობლემათა გადანყვეტას იმ სახელმწიფოს მხრიდან, რომლის სატელიტსაც წარმოადგენს.

რუსეთი ცდილობს საქართველოს კვაზიბუფერად შენარჩუნებას, ამ უკანასკნელს არც რუსეთის კვაზიბუფერად და არც რუსეთსა და აშშ-ნატოს შორის ბუფერად ყოფნა არ სურს. დღესდღეობით, საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტი რუსეთის გეოპოლიტიკური ორბიტიდან თავის დაღწევა და ევროატლანტიკური უსაფრთხოების სივრცეში შეღწევა, ანუ აშშ/ნატოს კვაზიბუფერად გახდომაა. ამასთან, ჩვენს ქვეყანაში რუსეთის შეიარაღებული ძალების განლაგება ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრობას ართულებს.

საქართველოს, როგორც პატარა/სუსტი სახელმწიფოს როლიდან გამომდინარე, მისი სამომავლო პერსპექტივები შემდეგნაირად ისახება: თუკი სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში რუსეთის ჯარები კვლავაც იქნებიან განლაგებულნი და საქართველო უარს იტყვის ნატოში განწევრიანებაზე, იგი შეასრულებს რუსეთის კვაზიბუფერის როლს. მეორე შემთხვევაში, ის წარმოდგენილი იქნება, როგორც აშშ/ნატოს კვაზიბუფერად, თუ რუსეთის შეიარაღებული ძალები აღნიშნული რეგიონიდან გავლენ და საქართველო ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი გახდება.

როგორც ვხედავთ, მას აშშ/ნატოსკენ აქვს ორიენტაცია აღებული, ამავდროულად, იგი მიიჩნევა აშშ-ის სტრატეგიულ პარტნიორად. თუმცა ის, რომ დღეს საქართველოში მყარად არის განლაგებული რუსეთის შეიარაღებული ჯარი, აშშ-ის მოწოდებები რუსეთის ხელისუფლებისადმი, ასევე კონგრესის მიერ შეტანილ რეზოლუციაში განწერილი მოცემულობები, რომლის მიხედვითაც, აშშ გმობს რუსეთის ქმედებას, ბადებს ეჭვს, რომ აშშ-ი ძალებს ზოგავს საქართველოში არსებული პრობლემების აღმოსაფხვრელად და ცდილობს არ გაამწვავოს ურთიერთობა რუსეთთან, რაც ქმნის იმ რეალობას, რასაც დღეს ვხედავთ.

ნატოს მისიებში მონაწილეობით საქართველო სამაგალითო პარტნიორია. პრობლემის სამშვიდობო გადაწყვეტისკენ თითქმის ერთხმად მოწოდებისა და ნატოსა და რუსეთს შორის პირდაპირი კონფლიქტის თავიდან არიდების გარდა, საერთაშორისო რეაქცია, რომელსაც ევროკავშირი და აშშ დომინირებდა, ხაზგასმით უჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.

საქართველო დღეს წარმოადგენს ორი ვექტორის გზაჯვარედინს, ერთი რუსეთ-სომხეთის კავშირს, და მეორე აზერბაიჯან-თურქეთის ურთიერთობას, რომელშიც ამერიკის ინტერესებია. ამიტომ საქართველო უნდა განვიხილოთ, როგორც ამ ძალების ბრძოლის არეალი.

გეოპოლიტიკური ომი აშშ-სა და რუსეთს შორის კავკასიისთვის, რუსეთის გამარჯვებით დასრულდა და ეს მოხდა 2008 წლის აგვისტოს ომში, ეს იყო ძალების მოსინჯვა და რუსული მოქმედების დაზვერვა დასავლეთის მხრიდან. საქართველოს აღებული აქვს პროდასავლური კურსი, მაგრამ აშკარაა, რომ ჩრდილო-ატლანტიკური ორგანიზაციის აღმოსავლეთით გაფართოება შენელდა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პრეზიდენტ ტრამპის ადმინისტრაციამ მკაფიოდ უნდა განსაზღვროს მიზნები საქართველოში. იმედია, ამერიკის პოლიტიკა უცვლელი დარჩება და ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობას დაუჭერს მხარს.

3.2. საქართველო-ნატოს ურთიერთობები

ნატო-საქართველოს თანამშრომლობა თითქმის 26 წელიწადს ითვლის იმ დროიდან, როცა ქვეყანა საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე შეუდგა დამოუკიდებლობის გზას და აიღო ვექტორი ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციისკენ. საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის მისწრაფებას და ამდენად, პრიორიტეტს აღნიშნულ ალიანსში გაწევრიანება წარმოადგენს. როგორც ნატოს ხელშეკრულების მეხუთე მუხლი გვეუბნება, ალიანსის უმთავრესი ამოცანაა წევრი ქვეყნების დაცვა აგრესიისგან, ხოლო ალიანსის ერთ წევრზე თავდასხმა განიხილება ყველა წევრზე თავდასხმად. ეს გარკვეულ გარანტიას აძლევს ქვეყანას, დაცულ იქნეს გარეშე მტრებისგან, რადგან გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე მისი სუვერენიტეტი, ტერიტორიული მთლიანობა, უსაფრთხოება და დემოკრატიული განვითარება ყოველთვის საფრთხის წინაშე იდგა. ქვეყანა ამავე წელს ჩაერთო ფორუმში დიალოგისათვის, როგორც პირველი ნაბიჯი ყოფილი ვარშავის ხელშეკრულების წევრების ჩართვისაკენ, აღმოსავლეთის და

დასავლეთის გამყოფი ზღუდის მიუხედავად, რომელიც მოგვიანებით ნატო-საქართველოს ურთიერთობების ჩარჩოებში 1992 წლიდან გამოვლინდა, როდესაც საქართველო შეუერთდა ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს (NACC). ქვეყანამ ისარგებლა შესაძლებლობით, ჩართულიყო პროგრამაში „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ (PFP Partnership for Peace) ორმხრივი პრაქტიკული თანამშრომლობის აღნიშნული პროგრამის განხორციელება 1994 წელს დაიწყო. ფორმატში, რომელშიც პარტნიორი და წევრი ქვეყნები სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხებს განიხილავენ, საქართველო დღემდე აქტიურად არის ჩართული. „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ მიზანია უზრუნველყოს ნდობა და გამჭვირვალობა, შეასუსტოს საფრთხეები, გააღრმავოს ურთიერთობები უსაფრთხოების დაცვის მიზნით. PFP პროგრამის ფარგლებში საქართველომ მონაწილეობა მიიღო ალიანსის მიერ წარმოებულ სამშვიდობო ოპერაციებში, კოსოვოს სამშვიდობო ძალებში 1999 წლიდან. საქართველო ასევე მნიშვნელოვან მონაწილეობას იღებს ავღანეთის სამშვიდობო ძალებში და უზრუნველყოფს ტრანზიტს მისი ტერიტორიის გავლით.

აღსანიშნავია საქართველოსა და ნატოს ურთიერთობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროექტი „დაგეგმვისა და მიმოხილვის პროცესი“ (PARF –Planning and Review Process), სადაც საქართველო 1999 წლიდან მონაწილეობს და რაც პარტნიორი ქვეყნების სამხედრო ქვედანაყოფების და მართვის სისტემების ნატოს ძალებთან თავსებადობას უწყობს ხელს. ესაა სფერო, სადაც ყველაზე კომპეტენტურად გრძნობს თავს ჩრდილოატლანტიკური ალიანსი და რომელსაც შეუძლია საკუთარი გამოცდილების გაზიარება პარტნიორი ქვეყნებისათვის.

ნატო-საქართველოს ურთიერთობის ისტორიაში მნიშვნელოვანია 2002 წელი, როცა ქ. პრაღაში გამართულ ნატოს სამიტზე საქართველომ პირველად გააჟღერა ალიანსში განწევრიანების სურვილი.

2004 წელს საქართველო გახდა პირველი პარტნიორი სახელმწიფო, რომელთანაც ნატომ ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის (IPAP- Individual Partnership Action Plan) ფორმატში დაიწყო თანამშრომლობა. აღნიშნული თანამშრომლობის ინსტრუმენტი წარმოადგენდა დროში გაწერილ სამოქმედო გეგმას, რომლის ფარგლებში საქართველომ ალიანსის წინაშე კონკრეტული ვალდებულებები აიღო. დოკუმენტი ითვალისწინებდა ქვეყანაში დემოკრატიული რეფორმების განხორციელებას და ამავდროულად, მოითხოვდა საქართველოს მთავრობის ერთიან და კოორდინირებულ ძალისხმევას მათი ეფექტიანი განხორციელებისათვის. ამა წლის ივნისში, სტამბულის სამიტზე მოკავშირეებმა გადაწყვეტილება მიიღეს, რათა წარმომადგენელი დაენიშნათ კავკასიის რეგიონში. ეს ხელს შეუწყობდა რეგიონული უსაფრთხოების დაცვას.

საქართველოსთვის მნიშვნელოვანი იყო 2006 წელს ნატოს გადაწყვეტილება დაეწყოთ საქართველოსთან „ინტენსიური დიალოგი განევრიანების საკითხებზე“ (ID-Intensified Dialogue on Membership Issues). ნატოს ამ გადაწყვეტილების შედეგად საქართველო ფორმალურად გადავიდა პარტნიორობის ფორმატიდან ალიანსის წევრობის კანდიდატის-ასპირანტის ფორმატზე. აღნიშნული დიალოგის ფარგლებში თანამშრომლობის პროცესში მიღწეული პროგრესის საფუძველზე, 2008 წელს ნატოს ბუქარესტის სამიტზე ორგანიზაციამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ „საქართველო გახდება ნატოს წევრი ქვეყანა“, რაც გახლდათ უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური გზავნილი, რამაც აღნიშნული ორმხრივი თანამშრომლობის პროცესში მნიშვნელოვანი სიცხადე შეიტანა, ეს ერთგვარად გამოვლინდა საქართველოსათვის უმძიმეს პერიოდში, 2008 წლის აგვისტოს ომის დროს მისთვის გაწეულ პოლიტიკურ მხარდაჭერაში. ამა წლის 19 აგვისტოს, ბრიუსელში, ალიანსის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების საგანგებო შეხვედრა გაიმართა, სადაც მათ

ერთმნიშვნელოვნად დაგმეს რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული ქმედებები.

აღნიშნული ორმხრივი ურთიერთობის გაგრძელებად უნდა ჩაითვალოს 2010 წელს ჩრდილოატლანტიკური საბჭოს მიერ სამოქმედო გეგმის შემუშავება. თანამშრომლობის ეს ინსტრუმენტი მოიცავდა ნატო-საქართველოს სამხედრო თანამშრომლობას (MC+GEO Work Plan). ასევე უნდა აღინიშნოს ქ.თბილისში ნატოს სამოკავშირეო ოფისის(NLO-NATO Liason Office) გახსნა, რომლის მთავარი ამოცანაც იყო საქართველოში მიმდინარე რეფორმების და ნატოში საქართველოს განწევრიანების ხელშეწყობა.

ურთიერთობის შემდგომი გაგრძელება იყო 2014 წლის 4-5 სექტემბერს ნატოს უელსის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილება, ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის (SNGP-Substantial NATO-Georgia Package) შემუშავების შესახებ, რომლის მთავარი მიზანიც საქართველოს მომზადება განწევრიანებისათვის და ქვეყნის თავდაცვითი შესაძლებლობების გაძლიერება იყო.

2015 წლის 27 აგვისტოს, ნატოს გენერალური მდივნის, იენს სტოლტენბერგის ვიზიტისას, ეროვნულ სასწავლო ცენტრ „კრწანისის“ ტერიტორიაზე ნატო-საქართველოს წვრთნისა და შეფასების ერთობლივი ცენტრი (JTEC) დაფუძნდა, რაც ერთადერთია შავი ზღვისა და კავკასიის რეგიონში.

მნიშვნელოვან და ნაყოფიერ ინიციატივად შეიძლება მივიჩნიოთ ნატოს მიერ საქართველოში 2016 წლის 28 ივნისს, თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის (DIB) გახსნა³³, რომლის მიზანიც იყო გამოცდილებისა და საუკეთესო

³³ნატო-საქართველოს ურთიერთობები, <https://ka.wikipedia.org/wiki/07/06/2018>

პრაქტიკის გაზიარება, როგორც თავდაცვის, ასევე ფართო უსაფრთხოების სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისათვის ეროვნულ, რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე.

აღნიშნული თანამშრომლობის მიუხედავად, ვხედავთ, რომ საქართველოს ნატოში ინტეგრაცია დროში განვლილი პროცესია, რასაც ქვეყნის ოკუპაცია აფერხებს. თუმცა, პროცესი ნამდვილად არ შეჩერებულა, ამას კი არსებული აქტივობები ცხადჰყოფს.

3.3. საქართველო-ევროკავშირი

დამოუკიდებლობის მოპოვების სანყის ეტაპზე საქართველოსთვის წარმოშობილმა ეკონომიკურმა, ტერიტორიულმა თუ სხვა სახის პრობლემამ ევროატლანტიკური სტრუქტურებისაკენ სწრაფვა განაპირობა. მისთვის ძნელი იყო მხარდაჭერის გარეშე ებრძოლა თვითგადარჩენისათვის, ამიტომაც, არჩია დასავლური კურსი.

საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობა სწორედ ამ პრიზმიდან იქნა განხილული. მათი ურთიერთობის ათვლაც იმ პერიოდიდან იწყება, როცა ქვეყანამ გადანყვიტა ეთანამშრომლა პროგრამაში „პარტნიორობა თანამშრომლობისათვის“. ქვეყანა დამოუკიდებლობის გაძლიერებისა, თუ ეკონომიკური პროგრესისათვის

ხელშეწყობა საშუალებად, სწორედ აღნიშნულ სტრუქტურებში ინტეგრაციას მიიჩნევდა.

ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ინტერესიდან გამომდინარე, საქართველოსთვის ევროკავშირის ინიციატივა „ფართო ევროპა“ მეტად საინტერესო იყო. ქვეყანა იმედოვნებდა, რომ მასში ჩართულობით, ალიანსი მეტ აქტიურობას გამოიჩინდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის დარეგულირების საკითხში. საქართველო საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, კრიზისული მდგომარეობიდან გამოსვლის სურვილით, 1992 წლიდან ვეჩეროპროგრამაში TACIS - რაც ტექნიკურ დახმარებას ისახავდა ამიზნად. პროგრამა საბჭოთა რესპუბლიკებს შორის თანამშრომლობის განხორციელების ინსტრუმენტად მიიჩნეოდა. იმდროისთვის, მნიშვნელოვანი იყო ახალბედა დემოკრატიული ქვეყნების საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისა და დემოკრატიის განმტკიცების პროცესის ხელშეწყობა. 1993 წლიდან რესპუბლიკა ევროკავშირისგან ფინანსურ და ჰუმანიტარულ დახმარებასაც იღებდა. 1995 წლიდან იგი აქტიურად ჩაერთო სავაჭრო პრეფერენციათა განზოგადებული სისტემით სარგებლობაში (GSP).³⁴ მისი ძირითადი არსი ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების მხრიდან, მხარდაჭერის გაძლიერება გახლდათ საქართველოსნაირი სახელმწიფოსთვის.

ინიციატივა „ფართო ევროპა“ საშუალებას იძლეოდა ყველა მეზობელ ქვეყანას ჰქონოდა უფლება თავისი სიტყვა ეთქვა ევროკავშირის შიდა ბაზარზე, რაც ფუნდამენტია ქვეყნის შემდგომი ინტეგრაციისა. პერსპექტივასთან დაკავშირებით ევროკომისიის პრეზიდენტი რომანო ჰიოდი აღნიშნავდა, რომ „ეს არის მაქსიმუმი, რითაც ევროკავშირის არანეგრი სახელმწიფო შეიძლება დაუახლოვდეს კავშირს“. ეს

³⁴საქართველოსა და ევროკავშირის დაახლოების პერსპექტივები, <http://infocenter.gov.ge/1518-saqarthvelo-evrokavshiris-urthierthobebi-da-samomavlo-perspeqtivebi-politikis-dokumenti.html>, 05/06/2018

დაახლოება იმ დროს საქართველოსთვის ერთმნიშვნელოვნად მიმზიდველი იყო, ასევე მნიშვნელოვანი იყო ევროკავშირის მიერ ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ მეზობლად აღიარება, რაც სატრანსპორტო და ენერგეტიკულ ევროპულ ქსელებში აქტიური ჩართვის შესაძლებლობას იძლეოდა.

საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების ისტორია გვიჩვენებს, რომ ქვეყანამ ურთულესი გზა განვლო ასოციაციის შეთანხმებამდე. თავდაპირველად, ორგანიზაცია ქვეყანას არა ცალკე რესპუბლიკად, არამედ მთლიან რეგიონთან ერთად განიხილავდა, რაც ქვეყნისთვის კავშირში განწევრიანების ილუზიას ამსხვრევდა. მათ შორის ორმხრივი თანამშრომლობის დოკუმენტი 1996 წლის 22 აპრილს ლუქსემბურგში იქნა ხელმოწერილი. ხაზი უნდა გაესვას ხელშეკრულების მთავარ მიზანებს:

- მხარეებს შორის პოლიტიკური დიალოგისთვის სათანადო სტრუქტურის შემუშავება;
- საქართველოს ძალისხმევის მხარდაჭერა დემოკრატიის გაძლიერებაში, ეკონომიკის განვითარებასა და საბაზრო ეკონომიკაზე საბოლოოდ გადასვლაში;
- სამართლებრივი, ეკონომიკური, სოციალური, ფინანსური, ტექნოლოგიური, კულტურული თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება 1994 წლის 1 ივლისს შევიდა ძალაში.

ორ მხარეს შორის განხორციელებული თანამშრომლობა, რა თქმა უნდა მათიწარმატება იყო, მაგრამ არ გულისხმობდა წინგადადგმულ ნაბიჯს ევროპაში ინტეგრაციისაკენ. საქართველოს სწრაფვა ალიანსისკენ, არ იყო გამიზნული მხოლოდ ეკონომიკური აღმავლობით, იგი სხვადასხვა სფეროების წარმატებასაც ისახავდა მიზნად. ქვეყნისადმი ევროკავშირის ინტერესი განპირობებული იყო მისი გეოგრაფიული მდებარეობითა და იმ რესურსთა სიმრავლით, რომელიც სახელმწიფოში მოიპოვება. ევროპულმა სტრუქტურამ აღნიშნული ინტერესი 2003

წლის 7 ივლისს რეგიონში თავისი წარმომადგენლის, პეიკი ტალტვიტიეს დანიშვნით დაადასტურა.

ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ჩამოყალიბება ჩვენი ქვეყნისათვის გარდამტეხ პერიოდს დაემთხვა. 2003 წლის შემდეგ, საქართველოს ხელისუფლება ცდილობდა მოკლე დროში განეხორციელებინა ქვეყნის მოდერნიზაცია, დემოკრატიული რეფორმები და დაეჩქარებინა ევროკავშირში ინტეგრაცია.

ევროკავშირის როლი განსაკუთრებით აქტუალური გახდა 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, როდესაც მანამდე არსებული ყველა სამშვიდობო ფორმატი მოიშალა და ევროკავშირი იქცა ადგილზე მოქმედ ფაქტობრივად ერთადერთ საერთაშორისო აქტორად. იგი საფრანგეთის თავმჯდომარეობით, სათავეში ჩაუდგა პოლიტიკურ პროცესს და მიაღწია ცეცხლის შეწყვეტას ექვს პუნქტიანი შეთანხმების საფუძველზე რუსეთსა და საქართველოს შორის. ევროკავშირმა, ასევე მისთვის ერთგვარად უჩვეულოდ სწრაფ ტემპში, პროცესში ჩართო „ევროპული უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის“ (ESDP) სამოქალაქო მისია – ევროკავშირის დამკვირვებელთა მისია (EUMM), რომელიც 200 დამკვირვებლისგან შედგებოდა და რომლის მოვალეობაც იყო, „გადაემონმებინათ ყველა მონაწილე მხარის მიერ ევროკავშირის ეგიდით გაფორმებული, საქართველოსა და რუსეთის მიერ ხელმოწერილი 12 აგვისტოს ექვსპუნქტიანი და 2008 წლის 8 სექტემბრის „განსახორციელებელი ზომების“ შეთანხმებების პირობების შესრულება. ევროკავშირის პოლიტიკას განსაზღვრავს ორკომპონენტური ხედვა - „არალიარება“ და „ჩართულობა.“ ამ ორი პრინციპიდან პირველი (არალიარება) არის რეაქცია რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ცალმხრივ აღიარებაზე, რაც ევროკავშირის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მხარდაჭერას ეფუძნება. მეორე (ჩართულობა) მოტივირებულია კონფლიქტის რეგიონების „დეზოლააციისაკენ“ მისწრაფებით, რაც ასევე

გულისხმობს რუსეთზე ცალმხრივი დამოკიდებულების შემცირებას, ალტერნატიული ღირებულებების გავრცელებას.

საქართველო-ევროკავშირს შორის ურთიერთობები 2010 წლისთვის მეტად გაღრმავდა. ამა წლის 15 ივლისს დაიწყო მოლაპარაკებები „ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე“. შეთანხმება თანამშრომლობას შემდეგ სფეროებში ითვალისწინებდა: პოლიტიკური დიალოგი და რეფორმა, საგარეო უსაფრთხოება, ვაჭრობა, ეკონომიკური თანამშრომლობა, დარგობრივი თანამშრომლობა, ასევე უაღრესად მნიშვნელოვანი იყო სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის შესახებ შეთანხმების დაწყება, რომელიც ძალაში 2011 წლის 1 მარტს შევიდა. მოლაპარაკების წარმატებულ ნაბიჯად ითვლება 2013 წლის 25 თებერვალს ევროკომისარ სესილია მალმსტრომის მიერ საქართველოსთვის სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის გადაცემა.

პროცესის შემდგომი გაგრძელება საქართველოსა და ევრო გარანტიებს შორის 2014 წლის ივნისში „ასოცირების შესახებ შეთანხმების“ ხელმოწერა იყო. ორმხრივი ურთიერთობები ახალ პლატფორმაზე გადავიდა. მიზანი ორ მხარეს შორის, პოლიტიკური ასოცირება და ეკონომიკური ინტეგრაციაა. ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში მოქმედებს „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცე“ (DCETA).

უდიდეს მიღწევად მიიჩნევა 2017 წლის 28 მარტიდან საქართველოს მოქალაქეების მიერ შენგენის ვიზით სარგებლობა. საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების მანძილზე, გაფორმებული თანამშრომლობის ხელშეკრულებების საფუძველზე უნდა ითქვას, რომ ევროკავშირი საქართველოს ყველაზე დიდი პარტნიორია. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის, მიხეილ ჯანელიძის თქმით, „ჩვენ ვართ ევროპული ქვეყანა, ევროპისთვის გასასვლელი აზიაში, ხოლო აზიისთვის, აზიური ქვეყნებისთვის, ჩვენი პარტნიორებისა და მეგობრებისათვის კარი ევროპაში. ჩვენ არ ვართ ხიდი, ჩვენ ვართ ევროპის ნაწილი“.

ამგვარად, ჩვენი ამბიციია, საქართველო გახდეს ევროკავშირის სრულფასოვანი წევრი. ჩვენ გვჭირდება რომ ქვეყანა მაქსიმალურად მოემზადოს პრაქტიკული თვალსაზრისით - დანერგოს ევროკავშირის სტანდარტები და მაქსიმალურად დაუახლოვდეს მას³⁵.

დასკვნა

სამაგისტრო თემის ჰიპოთეზის არსი, რომ „სამხრეთ კავკასიის ქვეყნები განსხვავებული პოლიტიკური ვექტორების არჩევანით ხასიათდება. საქართველო, როგორც აშშ-ის სატელიტი და სტრატეგიული პარტნიორი ახერხებს მისი მხარდაჭერის მოპოვებას. სომხეთი, როგორც რუსეთის სატელიტი, ცდილობს მთიანი ყარაბაღის კონფლიქტში მისი თანადგომის მიღებას, ხოლო აზერბაიჯანის განსხვავებული კურსი, რომელიც ტრიმერის პოლიტიკას აწარმოებს“, ბადებს შემდეგ

³⁵ჩვენი ამბიციია საქართველო ევროკავშირის სრულფასოვანი წევრი გახდეს,

<http://mfa.gov.ge/News/chveni-ambiciaa-saqartvelo-gakhdes-evrokavshiris-s.aspx?CatID=5>, 11/06/2018

საკვლევ კითხვებს: რამდენად წარმატებულია საქართველოს, როგორც აშშ-ის სატელიტის საგარეო პოლიტიკური კურსი? რით არის განპირობებული სომხეთის საგარეო პოლიტიკური არჩევანი - იყოს რუსეთის სატელიტი ქვეყანა და რა სახის დივიდენდები აქვს ქვეყანას ამ არჩევანის გამო? და რა ფაქტორების გათვალისწინებით აირჩია აზერბაიჯანმა ტრიმერის პოლიტიკა და რა მექანიზმებით ახორციელებს ამ პოლიტიკას? სამაგისტრო კვლევის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ სამხრეთ კავკასიის რეგიონისადმი, მსოფლიოს ისეთი სახელმწიფოების მხრიდან, როგორც აშშ-ი და რუსეთია ყურადღება გაძლიერდა. მათ რეგიონის გეოსტრატეგიული მდებარეობა უმძაფრებდათ სურვილს, რაც სამხრეთ კავკასიაში გავლენის სფეროს გაძლიერებას მოასწავლებდა. რეგიონის თითოეულმა წარმომადგენელმა ქვეყანამ განსხვავებული პოლიტიკური ორიენტაცია აირჩია, რამაც წარმოაჩინა სამივე მათგანის, როგორც ბუფერული სახელმწიფოების როლი. ისინი ძლიერი სახელმწიფოების ბუფერს წარმოადგენენ, ამდენად, მათი საგარეო პოლიტიკა სწორედ ჰეგემონი სახელმწიფოებისა თუ საერთაშორისო ალიანსების სურვილს ემსახურება.

ახლანდწარმოქმნილმა დამოუკიდებელმა საქართველომ 1991 წლიდან აშშ-კენ აიღო გეზი და დღემდე დასავლეთის სტრუქტურებში ინტეგრაციას ისახავს მიზნად. ის აშშ/ნატო-ს პოლუსზე მდებარე ქვეყანაა, აქედან გამომდინარე, მისი საგარეო პოლიტიკა აშშ-გან არის „ნაკარნახევი“, თუმცა ამავედროულად, ქვეყანა მიიჩნევა აშშ-ის სტრატეგიულ პარტნიორად. იგი დადებითად აფასებს მისთვის სატელიტი ბუფერის სტატუსის ქონას, რადგან მიიჩნევს, რომ ასეთ შემთხვევაში შეუძლია 2008 წლის ომის მსგავსი ვითარების თავიდან აცილება, თუმცა სწორედ, რომ 2008 წელს რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიის ოკუპაცია იქცა შემაფერხებელ ფაქტორად ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაციისკენ. ამ უკანასკნელთა ჩართულობა რეგიონში

წარმოშობილი კონფლიქტების ესკალაციისთვის სამწუხაროდ, მთლად ეფექტური ვერ აღმოჩნდა.

სომხეთისთვის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევამ რუსეთისკენ მიმართა სტრატეგიული პოლიტიკა. ევროპის ეკონომიკურ კავშირში გაწევრიანება მისთვის აზერბაიჯანთან წარმოშობილი მთიანი ყარაბაღის კონფლიქტში მხარდაჭერის გარანტი იყო, თუმცა ეს გარანტი რუსეთმა ილუზიად აქცია. სომხეთის პოლიტიკური ვექტორი ევროპული სტრუქტურებისკენაც გადაიხარა, თუმცა ოფიციალური ერევნის მტკიცებით, ევროკავშირთან თანამშრომლობა მხოლოდ და მხოლოდ ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობისთვის გაკეთდა. ამდენად, სომხეთის, რუსეთის სატელიტად ყოფნა, მისი დემოკრატიულობის ხარისხის, მშვიდობის სტაბილურობისა თუ ეკონომიკური პროგრესისთვის ეფექტური ვერ აღმოჩნდა.

ტრიმერი ბუფერის, აზერბაიჯანის საგარეო კურსი დამოუკიდებლობითა და დაბალანსებული პოლიტიკით ხასიათდება. არჩევანი გამონვეული იყო ეროვნული ინტერესების დაცვით. არჩეული პოლიტიკის ხელშემწყობ ფაქტორად ქვეყნის ბუნებრივი მარაგი-ნავთობი არის მიიჩნეული. დამოუკიდებლობის საწყის ეტაპზე ეკონომიკურ კრიზისში მყოფმა აზერბაიჯანმა სწორედ ამ რესურსით დაძლია დაღმასვლა. ქვეყნის ენერგეტიკის სფეროთი დაინტერესება და ჩადებული ინვესტიციები, აზერბაიჯანის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის სავიზიტო ბარათი გახდა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ალადაშვილი. ბ., „სამხრეთ კავკასია გეოპოლიტიკურ გზაჯვარედინზე: ეკონომიკური ინტეგრაცია თუ ომი“- თბილისი 2010წ.;
2. ასათიანი., ს, ლეჟავა ნ., შაინრიპ ბიოლის ფონდი, „სამხრეთი კავკასია გზაჯვარედინზე: რთული რეალობა და დიდი მოლოდინები“-თბილისი 2014წ.;
3. გეგეშიძე. ა., „გეოპოლიტიკა“- თბილისი: ESM, 1997წ.;
4. თურმანიძე. თ., ურუშაძე. ე., დუჩიძე. ლ., „საერთაშორისო ურთიერთობების თეორია, ქრესტომათია“-თბილისი: სამოქალაქო ინიციატივების ინსტიტუტი, 2004წ.;
5. ისმაილოვი. ე., პაპავა. ვ., ცენტრალური კავკასია: გეოპოლიტიკური ეკონომიის ნარკვევები-გამომცემლობა: „დიოგენე“ 2007წ.;
6. რონდელი. ა., „პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში“ - თბილისი: საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, „ნეკერი“, მეორე გამოცემა, 2009 (2003);
7. რონდელი. ა., „საერთაშორისო ურთიერთობები“- თბილისი: „ნეკერი“, მესამე გამოცემა, 2006წ., (1996);
8. კონრად ადენაუერის ფონდი- „სამხრეთ კავკასია 2018: ფაქტები, ტენდენციები, და სამომავლო სცენარები“-2018წ.;
9. ლებანიძე. ბ., ლარსენი. ჯ., კახიშვილი. ლ., მაჩიტაძე. ი., „პოლიტიკის დოკუმენტების კრებული“-თბილისი. 2018წ.;
10. კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევითი ინსტიტუტი- „ევროინტეგრაციის საკითხები-ვიშეგრადის ქვეყნები და სამხრეთ კავკასია“, თბილისი: 2013წ.;
11. დეკანოზიშვილი. მ., „ევროკავშირი სამხრეთ კავკასიაში-სამხრეთ კავკასია ევროკავშირში?“ - თბილისი, 2004წ.;
12. გაჩეჩილაძე. რ., „ევროინტეგრაციის პროცესი სამხრეთ კავკასიაში“- თბილისი, 2013წ
13. ლაზარაშვილი. ე., „სამხრეთ კავკასიის პრობლემები და გამონწვევები“, 2014წ.;

14. Goldhamer.H. “The Foreign Powers in Latin America” (Princeton: Princeton University Press, 1972);
15. Spykman., N., “Frontiers, Security and International Organization,” Geographical Review, (1942)
16. Morgenthau. H., Politics Among Nations: The Struggle for Power and Peace, revised by Kenneth Thompson (New York: McGraw-Hill, Sixth Edition, 1985);
17. Wight. M., Power Politics, ed. Hedley Bull and Carsten Holbraad (London: Leicester University Press, Royal Institute of International Affairs, 1995);
18. Alieva L, EU and South Caucasus, CAP Discussion Paper, Bertelsmann Group for Policy Research, 2008;

ინტერნეტ რესურსები:

1. ჩვენი ამბიციას საქართველო ევროკავშირის სრულფასოვანი წევრი გახდეს, <http://mfa.gov.ge/News/chveni-ambiciaa-saqartvelo-gakhdes-evrokavshiris.s.aspx?CatID=5>;
2. საქართველო და ევროკავშირი თანამშრომლობის ახლა ეტაპზე გადადიან, <https://sputnik-georgia.com/politics/20171011/237709682/saqarTvelo-da-evrokavSiri-TanamSromlobis-axal-doneze-gadadian.html>;
3. საქართველოსა და ევროკავშირის დაახლოების პერსპექტივები, <http://infocenter.gov.ge/1518-saqarthvelo-evrokavshiris-urthierthobebi-da-samomavlo-perspeqtivebi-politikis-dokumenti.html>;
4. სომხეთი-ევროკავშირი. მეორე, წარმატებული მცდელობა, <https://jam-news.net/?p=72425&lang=ka>;
5. სომხეთიევრაზიულკავშირსადაევროკავშირსშორის... <https://www.ambebi.ge/article/217355-somxeti-evraziul-kavshirsa-da-evrokavshirs-shoris>;

6. აშშ-საქართველოს ქართია სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ, <https://ka.wikipedia.org/wiki;>
7. აშშ-ის კონგრესში საქართველოს მხარდამჭერი რეზოლუცია შევიდა, <https://on.ge/story>
8. ჯანელიძე: აშშ-თან, როგორც საქართველოს მთავარ სტრატეგიულ პარტნიორთან თანამშრომლობის გაღრმავებას დიდი ყურადღება ეთმობა“. 20.12.2017, <http://www.interpressnews.ge/ge/politika/469739-mikheil-janelidze-ashsh-sthan-rogorc-saqarthvelos-mthavar-strategiul-partniorthan-thanamshromlobis-gaghrmavebas-didi-yuradgheba-ethmoba.html?ar=A>
9. ნატოსთან ინტეგრაციის ადატერითორიული კონფლიქტების მოგვარების სპერსპექტივები , <https://ge.boell.org/ka/2014/09/29/>
10. ნატო-საქართველოს ურთიერთობები, <https://ka.wikipedia.org/wiki;>